ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## უჩა ნანუაშვილი: „სამართალდამცავებმა მოქალაქე უკანონოდ დააკავეს“



გვ.5

**25 თებერვლიდან**

ათი დღე ზვიგენების პირისპირ

გაბრიელ გარსია მარკესი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

შაბათი – კვირა, 25 – 26 თებერვალი, 2017 №47 (7282) ფასი: 50 თეთრი

# „მამა გიორგი მამალაძის სიცოცხლე საფრთხეშია“



## რატომ არ დაკითხა გამოძიებამ ბრალდებული დეკანოზი და შორენა თეთრუაშვილი?

გვ.2





ადვოკატი ჩამიშვილი დახმარებას სახალხო დამცველს სთხოვს

## პარლამენტში დაუსტვინეს



გვ.3

დავით ბაქრაძე: „ამ ქვეყანაში ნებისმიერი ჩვენგანის უკანონო მოსმენები დაკანონდება“



## როგორ შოულობენ დეპუტატები მილიონებს

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართული ოცნების" 7 დეპუტატისა და 1 მინისტრის კომპანიებმა 132 მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმეს

გვ.4



„იკვეთება პოლიტიკური კორუფციის ნიშნები“

## სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას სურს, რომ პარლამენტში დებატები არ იყოს?!“

გვ.3



## დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ღრმავდება



გვ.5



იქონიებს თუ არა გავლენას საქართველოზე უკრაინის ნეიტრალიტეტი?

ISSN 1987-9385

## რა პრობლემები აქვს ქართველთა დასაქმებას ისრაელში



შაბთაი ცური: „ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და არც დადგება"

გვ.6

იციკ მოშე ისრაელსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლის 100 დღით შეჩერებას ითხოვს



შორენა მარსაგიშვილი

# „მამა გიორგი მამალაძის სიცოცხლე საფრთხეშია“

## რატომ არ დაკითხა გამოძიებამ ბრალდებული დეკანოზი და შორენა თეთრუაშვილი?



გავრცელებული ინფორმაციით, ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მამალაძის ადვოკატების განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფის დაკითხვა 24 თებერვალს უნდა მომხდარიყო. დაკავებული დეკანოზი ჩვენების მისაცემად მზად იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მასთან გამომძიებელი და პროკურატურის წარმომადგენლები შევიდნენ, დაკავებულისთვის ჩვენება არ ჩამოურთმევიათ.

ციანიდის საქმის პროკურორის არჩილ ტყეშელაშვილის განცხადებით, დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკითხვა გადაიდო — რადგან დნმ-ისა და ხმის ნიმუშების აღებას ბევრი დრო დასჭირდა, ამიტომ დაკითხვა ველარ მოესწრო.

დაცვის მხარე კი ამბობს, რომ პროკურატურა არც აპირებდა დეკანოზის დაკითხვას.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, პროკურატურამ დეკანოზის დაკითხვა დროში განზრახ გაწელა და მისი დაკითხვა ამიტომ ვერ მოესწრო.

მისივე თქმით, საპატიმროში შესვლის შემდეგ იყო თხოვნა, რომ ნიმუშების აღებას 45 წუთი დასჭირდებოდა და შემდეგ დაიწყებოდა დაკითხვა, თუმცა პროცესი დროში განზრახ გაწელეს.

— მამა გიორგიმ არაერთხელ გასცა პასუხი, რომ ის მზად იყო, დილამდე დაუყოვნებლივ სრულყოფილად მიეცა ჩვენება. როგორც კი ნიმუშების აღება დასრულდა და მოვემზადეთ ჩვენების მისაცემად, პროკურატურის წარმომადგენლები ადგნენ და დააპირეს წასვლა, ჩვენ მოვთხოვეთ, დაბრძანებულიყვნენ იქ, სადაც უნდა მომხდარიყო ჩვენების მიცემა და მათ ვაჭრობა დაგვიწყეს, შევთანხმდეთ სხვა დროზე, სხვა რიცხვზეო, — განაცხადა რამიშვილმა.

მისივე თქმით, მამა გიორგის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. ადვოკატი დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართავს.

— მე მიმაჩნია, რომ საფრთხის წინაშე დგას მამა გიორგის სიცოცხლე. ამის ძალიან დიდი ეჭვი მაქვს. შაბათ-კვირა დღე არის და ადვოკატებს არ შეგვიძლია შესვლა. მოვუწოდებ შს სამინისტროს, პრემიერს, ყველა უწყებას, დაიცვას შაბათ-კვირას დაკავებული დეკანოზის უსაფრთხოება. ასევე მოვუწოდებ სახალხო დამცველს, შაბათ-კვირას, მაშინ, როცა ადვოკატებს პატიმრის ნახვის უფლება არ აქვთ, მოინახულოს დეკანოზი, — აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა.

ამ დღეებში პროკურატურის წარმომადგენლები ჩაქვის გიმნაზიაში იმყოფებოდნენ. დაკავებული დეკანოზი ამ გიმნაზიის რექტორია.

ინფორმაცია პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმაც დაადასტურა. მისი თქმით, საქმეზე დანიშნულია გრაფიკული ექსპერტიზა და პროკურატურის წარმომადგენლები ბრალდებულის ხელნაწერი დოკუმენტების მოპოვების მიზნით არა მარტო ჩაქვის გიმნაზიაში, არამედ საპატრიარქოსა და იმ საავადმყოფოშიც იმყოფებოდა, რომლის ხელმძღვანელიც იყო მამა გიორგი მამალაძე.

— ჩაქვის გიმნაზიაში იმყოფებოდნენ პროკურატურის წარმომადგენლები, დანიშნულია გრაფიკული ექსპერტიზა, გამოძიებამ უნდა მოიპოვოს ბრალდებულის ხელით ნაწერი დოკუმენტები, ასევე იმყოფებოდნენ საპატრიარქოსა და საავადმყოფოში,



## ადვოკატი რამიშვილი დახმარებას სახალხო დამცველს სთხოვს

რომლის დირექტორიც იყო ბრალდებული, — განაცხადა საქმის პროკურორმა.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამ საქმეზე პატრიარქის მდივან-რეფერანტის შორენა თეთრუაშვილის დაკითხვაც იგეგმება.

ტყეშელაშვილის თქმით, ამ საქმეზე ბევრი მოწმეა დაკითხული და მოწმეები მომავალშიც დაიკითხებიან.

— ამ საქმეზე არაერთი მოწმე დაიკითხა, დაგეგმილია, მათ შორის, შორენა თეთრუაშვილის დაკითხვაც. არსებობს საგამოძიებო გეგმა და ამ გეგმის მიხედვით მოხდება მოწმეების დაკითხვა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, — განაცხადა პროკურორმა.

მედიასთან საუბარში ტყეშელაშვილი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ამბობს, თუ ვისი მკვლელობის მომზადება ედება ბრალად დეკანოზ გიორგი მამალაძეს.

— როგორც მთავარი პროკურატურის მიერ გაკეთდა განმარტებები, ამ ეტაპზე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. თქვენ შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ იმ მასალებით და განმარტებებით, რომლებიც გააკეთა პროკურატურამ.

როდესაც ასეთი საფრთხე აღარ იქნება, ეს მტკიცებულებები გახდება საჯარო საზოგადოებისთვის. თუ როდის მოხდება ეს, ამის წინასწარ პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როგორც კი აღარ იქნება აღნიშნული საფრთხე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მტკიცებულებები გასაჯაროვდება, — განაცხადა ტყეშელაშვილმა.

საქმის პროკურორის თქმით, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება მოპოვებულია კანონის სრული დაცვით.

ტყეშელაშვილმა კომენტარი გააკეთა გაუთქმელობის პირობაზეც, რომელიც მამა გიორგის ადვოკატებს აქვთ დადებული და აღნიშნა, რომ მათ აქვთ კანონით დადგენილი ნებისმიერი საპროცესო ნორმის განხორციელების საშუალება, გაუთქმელობის პირობა კი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე და უსაფრთხოების მიზნით დაწესდა.

დაკავებულს ბრალად ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაც ედება. მისი ადვოკატი ამბობს, რომ ეს იარაღი დეკანოზს არ ეკუთვნოდა.

მიხეილ რამიშვილის თქმით, მამა გიორგი მამალაძე გამოძიებას ასევე ეტყვის, თუ საიდან აღმოჩნდა მის საცხოვრებელ სახლში ცეცხლსასროლი იარაღი.

— მამა გიორგი ჩვენებაში ზუსტად იტყვის, ვისი თხოვნით ჰქონდა ეს იარაღი შენახული მას. შესაძლებელია, მით უმეტეს, სასულიერო პირს, დახმარების მიზნით დროებით გთხოვოს ადამიანმა შენახვა, — განაცხადა რამიშვილმა.

* * *

სანამ პროკურატურა და დაცვის მხარე მედიასთან საუბრით იყვნენ გართული, საპატრიარქოში 2 ვიცე-პრემიერი — კახა კალაძე და ალექსანდრე ჯეჯელავა მივიდნენ.

ჯეჯელავა აცხადებს, რომ მან და კახი კალაძემ პატრიარქს ციანიდის საქმეზე ინფორმაცია მიაწოდეს.

— ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ პატრიარქსაც და საპატრიარქოს სხვა წარმომადგენლებს და მათი მხრიდან მივიღეთ სრული მხარდაჭერა. ვინც არ უნდა იყოს დამნაშავე, როცა ასეთ მძიმე დანაშაულზეა საუბარი, ცალსახად საქმე უნდა მივიდეს ბოლომდე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. ჩვენი ხელისუფლება, პირადად პრემიერი, დიდ ყურადღებას აქცევს ამ



საკითხს, იმას, რომ გამოძიება სამართლიანად, გამჭვირვალედ წარიმართოს და ბოლომდე მივიდეს, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

საქართველოში ყველა გახმაურებულ საქმეზე, როგორც წესი, განცხადებებს აკეთებენ აშშ-ის ელჩები. ეს ტრადიცია არც ციანიდის საქმეზე დარღვეულა. მოქმედმა ელჩმა ამ საქმეზე მეტად მოკრძალებულად ისაუბრა.

— მე არ ვიცი საქმის დეტალები, ძალიან საწყენია ეს ვითარება. რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ პატრიარქს და არ მინდა ზიანი მიადგეს მას ან ვინმეს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში. იმედი მაქვს, გამოძიება სამართლიანად ჩატარდება, — ამბობს ელჩი.

იან კელის კომენტარი ქრონიკამ გაავრცელა.

* * *

ციანიდის საქმის გარდა, საპატრიარქოში კიდევ ერთი სკანდალია.

პატრიარქის დაცვის უფროსის და დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის დაპირისპირება ისევ გრძელდება. ამ დაპირისპირების გამო ბოტკოველმა თანამდებობა დატოვა.

24 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას დაცვის უფროსმა სოსო ოხანაშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ინფორმაციას არც ბოტკოველი და არც საპატრიარქო ადასტურებენ.

საქართველოს საპატრიარქომ კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 24 თებერვლიდან ოფიციალურ განცხადებებს საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი დავით შარაშენიძე გააკეთებს.

დავით შარაშენიძე პატრიარქის პრესასთან ურთიერთობისთვის საკონტაქტო პირი იქნება და არა — საპატრიარქოს მდივანი.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობა დატოვა პატრიარქის დაცვის უფროსმა სოსო ოხანაშვილმაც. ის ამ დღეებში საგანგებო ბრიფინგის გამართვას აპირებს. როგორც ამბობენ, მას ვანო კობაიძე ჩაანაცვლებს, რომელიც პატრიარქის ნათესავია.

## რუსთავში ბუნებრივი აირით სამი ადამიანი მოიწამლა



რუსთავში ბუნებრივი აირით სამი ადამიანი მოიწამლა. კოსტავას ქუჩაზე, გვიან ღამით საკუთარ სახლში ცოლ-ქმარი და ერთი მცირეწლოვანი ბავშვი უგონო მდგომარეობაში იპოვეს. შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს და სამივე მოწამლული რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ინტერპრესნიუსს რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორმა პაპუნა ბახტაძემ განუცხადა, პაციენტების მდგომარეობა სტაბილურია, ცოლ-ქმარი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს, ხოლო ბავშვი ჯერჯერობით კვლავ სტაციონარში რჩება და ექიმის თქმით, მასაც მალე გაწერენ.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა, ფალიაშვილის ქუჩაზე 26 წლის ქალი მოიწამლა, მას სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს და სტაციონარში გადაყვანა აღარ გახდა საჭირო.

რუსთავში, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის 17-მდე შემთხვევა დაფიქსირდა; აქედან ერთი ფატალურად დასრულდა, 21 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა.

**ინტერპრესნიუსი**

## „ოცნების“ დეპუტატმა ნაციონალს წყლის ბოთლი ესროლა



თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელმა ილია ჯიშკარიანმა ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ ირაკლი ნადირაძეს წყლის ბოთლი ესროლა. ამის შემდეგ დეპუტატებმა ერთმანეთისკენ გაიწიეს, თუმცა, სხვა დეპუტატებმა ისინი გააშველეს.

დაპირისპირება ირაკლი ნადირაძის განცხადებას მოჰყვა.

— რომ ამბობთ, სასამართლოს მიმართეთ სიმართლის გასარკვევად, ვის მივმართოთ ნეტავ, ნაზღაიძეს? — ამ კითხვით მიმართა საკრებულოს უმცირესობის დეპუტატმა ირაკლი ნადირაძემ უმრავლესობის წარმომადგენლებს მას შემდეგ, რაც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, თედო კობახიძემ ოპოზიციონერ დეპუტატებს ურჩია, საკითხის გასარკვევად სასამართლოსთვის მიემართათ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას სურს, რომ პარლამენტში დებატები არ იყოს?!“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, პარლამენტში ე.წ. მოსმენების კანონპროექტის განხილვას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. „ევროპულმა საქართველომ“ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზიც დატოვა, რასაც პარლამენტის თავმჯდომარემ მცირე საბოტაჟი უწოდა. როგორ შეაფასებთ განვითარებულ მოვლენებს?***

— მსოფლიო საპარლამენტო ცხოვრებისთვის ეს არ არის უჩვეულო ამბავი. ოპოზიცია ძალიან ხშირად მიმართავს დროის გაყვანის ტაქტიკას, რომ კანონპროექტი არ იქნეს მიღებული. ეს ხომ არ არის საბჭოთა პარლამენტი, სადაც ყველას ერთნაირად ჰქონდა ხელი აწეული ნებისმიერ წინადადებაზე. ცივილიზებული ქვეყნებია სამხრეთ კორეა, იაპონია და არ გახსოვთ, სკამებს რომ თავზე ამტვრევდნენ ერთმანეთს პარლამენტში?! დიდ ბრიტანეთშიც ძალიან ხშირად არის პარლამენტში დაპირისპირება, თანაც ძალიან მწვავე დაპირისპირება. სულ ცოტა ხნის წინ ძალიან დიდი დაპირისპირება და ვნებათაღელვა მოჰყვა ახალი პრემიერის ტერეზა მეის გადაწყვეტილებას, დონალდ ტრამპი რომ დაპატიჟა ოფიციალური ვიზიტით. ამ გადაწყვეტილებას ისეთი ჩხუბი მოჰყვა, რომ ლამის ერთმანეთი დახოცეს. რა, დიდი ბრიტანეთი არ არის ცივილიზებული, დემოკრატიული სახელმწიფო თუ რა ხდება?!

***— გიკვირთ ჩვენს პარლამენტში გაკეთებული შეფასებები?***

— რა თქმა უნდა, მიკვირს. აბა, ის იქნებოდა უკეთესი, რომ მორჩილად ყველა ერთ აზრზე იყოს?! ეს დრო ხომ გამოვიარეთ. პარლამენტი არის ის ადგილი, სადაც უნდა იყოს კამათიც და დებატებიც. „საპარლამენტო საბოტაჟი“ — ეს შეფასება ნამდვილად უადგილოა, რადგან პარლამენტი არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა იყოს აზრთა ჭიდილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნორმის ფარგლებში, ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენების გარეშე. აი, სად გვაქვს პრობლემა — ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება პიროვნულ დაპირისპირებაში გადაზრდა. ეს არის არადემოკრატიულობის, არაცივილიზებულობის ნიშანი და არა ის, რომ პარლამენტში დებატებია. აბა, სად უნდა იყოს პოლიტიკური დებატები, ქუჩაში?! ეს უნდა ხელისუფლებას?! ნუ გვავიწყდება, რომ მაინც აღმოსავლეთი ვართ, სამხრეთელები, რომელთა ტემპერამენტი ვერ იქნება სკანდინავიის ქვეყნების — ნორვეგიის, ფინეთის, დანიისა და სხვათა მსგავსი.

***— ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საბოტაჟი არ გამოუვიდათ. ფიქრობთ, რომ რეალურად მართლაც ეს ჰქონდა ჩაფიქრებული ბოკერიას გუნდს?***

— შეუძლებელია. ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა, პოლიტიკური ძალების დემონსტრირება. პარლამენტის ახალგაზრდა თავმჯდომარემ გვითხრა: არ გამოუვიდათო. როგორ გამოუვიდოდათ, მმართველი ძალა ორჯერ მეტია ოპოზიციაზე. მმართველ პარტიას, რომელსაც აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ცხადია, უნდა, ამ მექანიზმით ისარგებლოს, მაგრამ მათ ავიწყდებათ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ: „ჩვენ ბევრნი ვართ და მოგერევით. თქვენ არ გვჭირდებით“. ამ ლოზუნგმა სადამდე მიიყვანა ნაციონალური მოძრაობა, კარგად ვნახეთ. ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობის ლიდერი იყო მაია ნადირაძე, რომელიც ირონიულად მიმართავდა მაშინ ოპოზიციას, ჩვენ ბევრნი ვართო. კობახიძე ახალგაზრდა პოლიტიკოსია და შეიძლება ავიწყდება, რა ხდება ევროპაში, თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 5-6 საათი გამოდის ოპოზიციონერი დეპუტატი. ამაზე ფილმებიც კია გადაღებული, თუ როგორ აჭიანურებს კანონის მიღებას, როგორ გაჰყავს დრო. ამ დროს თმენის რესურსი უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსს. ეს არ არის ტრაგედია. ტრაგედია არის ის, რომ მათ უმრავლესობაში ყოფნა პრივილეგია ჰგონიათ. ეს ვალდებულებაც რომ არის, ბევრჯერ ავიწყდებათ. არა მგონია, კატასტროფას წარმოადგენდეს უმრავლესობისთვის, „მოსმენების კანონი“ ერთი კვირით ადრე იქნება მიღებული თუ ერთი კვირით გვიან. ვისი მოსმენაც უნდათ, მას ისედაც უსმენენ. ძლიერი ყოველთვის უფრო მიმტევებელი უნდა იყოს. ეს არ არის მხოლოდ ქრისტიანული მორალი. ამას პოლიტიკაშიც აქვს მნიშვნელობა.



***— პარლამენტში მმართველი გუნდიდან თითქმის უმრავლესობა ახალი დეპუტატია. ვის გამოყოფდით, გნებავთ, ოპოზიციიდან, რომელსაც უსმენთ და რომელზეც იტყვით, რომ პოლიტიკოსია?***

— ძალიან საინტერესო შეკითხვაა. სხვათა შორის, ძალიან ბევრი მიფიქრია ამ საკითხზე. ჩემ თვალწინ არაერთმა პარლამენტმა გაიარა, ბევრი ძლიერი დეპუტატი, ბევრი საინტერესო პოლიტიკოსი შემხვედრია. იყვნენ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც მართლაც შეეფერებოდნენ იმ სტატუსს, რომელსაც პოლიტიკოსი ჰქვია.

***— დღეს არიან ასეთი პოლიტიკოსები?***

— გიგა ბოკერია პოლიტიკოსია, ძლიერი პოლემისტი. არის მომენტები, როდესაც ლოგიკური აზროვნებით, ინტელექტუალურად გიგა აშკარად ჯაბნის თავის მოწინააღმდეგეს. პარლამენტში სწორედ პოლემისტები უნდა იყვნენ. რა არის პარლამენტი? — ადგილი, სადაც ლოგიკური აზროვნება და დებატებში საკუთარი პოზიციის დაცვა უნდა შეძლო. სხვათა შორის, საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ ძლიერი პოლემისტია სერგი კაპანაძე. ამასწინათ ვუსმენდი მის დებატებს გია გაჩეჩილაძესთან, რომლის მიმართაც სიმპათიით ვარ განწყობილი. როდესაც ის ეკოლოგიაზე საუბრობს, ვუსმენ, რადგან ძლიერია ამ სფეროში. იმ დებატების დროს ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე გაზპრომზე საუბრობდნენ. ძალიან სუსტი იყო. დღევანდელ პარლამენტარებს თითქმის არ ვიცნობ. არ ვიცნობ არა მხოლოდ მე, არამედ ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობაც. ამას კნინობით ფორმაში არ ვამბობ, მაგრამ ახლა უკვე დროა, თავი გამოიჩინონ ახალი ინიციატივებით, კანონპროექტების ინიცირებით და ა.შ. რამდენი დეპუტატი გვყავს, რომლებიც საერთოდ არ მისულან ტრიბუნასთან?! როგორ აზროვნებენ ეს ადამიანები, რა პრიორიტეტები აქვთ, ხომ უნდა იცოდეს ხალხმა, ვინც ხმა მისცა ამ ადამიანებს, რომლებსაც, ბოლოს და ბოლოს, ინახავს. გასაგებია, რომ ადამიანი, რომელსაც 20 წელი ჭიპი აქვს მოჭრილი პოლიტიკაში, პარლამენტში, დემაგოგიაში, ინტელექტუალურ დავაშიც, სიმართლის თქმაშიც, ტყუილშიც, ყოველთვის დაჯაბნის იმ უცნობ დეპუტატს, რომელიც უმრავლესობაშია, მაგრამ ამიტომ ხმა არ უნდა ამოიღოს.

***— ირაკლი კობახიძეზე რა შეგიძლიათ თქვათ?***

— ასე ვიტყოდი, კარგი მასალაა, განათლებული, დინჯი, თავშეკავებული ახალგაზრდა. ჩემი რჩევა იქნებოდა მეტი ელასტიკურობა, ნაკლები სიხისტე. დიდ გამოცდილებასაც შეიძენს. ვფიქრობ, კარგი პოლიტიკოსი დადგება.

---

შორენა მარსაგიშვილი

# პარლამენტში დაუსტვინეს

## დავით ბაქრაძე: „ამ ქვეყანაში ნებისმიერი ჩვენგანის უკანონო მოსმენები დაკანონდება“

მოსმენების კანონთან დაკავშირებით პარლამენტში დაპირისპირება გრძელდება. ეკა ბესელიას და თინა ბოკუჩავას დაპირისპირება უფრო მასშტაბურ ხმაურში გადაიზარდა. უკან არც ქალებს დაუხევიათ, ბოკუჩავა სიტყვიერად ისევ შეება ბესელიას, ამ ამბით გულშეწუხებულმა დეპუტატმა კოლეგას ჩიორა 2 უწოდა.

ფარული მოსმენა-მიყურადების შესახებ კანონის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება „ევროპულმა საქართველომ“ რამდენჯერმე დააფიქსირა. 24 თებერვლის სხდომაზე კი მათ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვეს, რასაც სტვენა და ხელების ბრახუნი მოჰყვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პარლამენტი ხმაურიან საკანონმდებლო პაკეტს არა მუხლობრივად, არამედ თავების მიხედვით იხილავდა. აღნიშნული პროცედურა პარლამენტს საკითხის წარმდგენმა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ შესთავაზა.

ბესელიამ ეს ინიციატივა იმით გაამართლა, რომ ოპოზიცია მიმართავს პროცედურულ მეთოდებს და ამ გზით საკითხის დროში გაჭიანურებას ცდილობს.

არამუხლობრივ განხილვებზე განმარტების გაკეთება დასჭირდა პარლამენტის სპიკერ ირაკლი კობახიძესაც, რომელმაც საპარლამენტო უმცირესობა საბოტაჟში დაადანაშაულა.

— კიდევ ერთხელ განვმარტავ, თუ რა ხდებოდა ამ დღეების განმავლობაში საქართველოს პარლამენტში. ინგლისური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ხორციელდებოდა ე.წ. ფილიბასტერინგი, რაც არის დროში ხელოვნურად გაწელვა პროცედურის. მე რამდენჯერმე ღიადაც და დახურულ რეჟიმში ვთხოვე უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ ეს არ გაეკეთებინათ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხელს უშლიდა უმნიშვნელოვანესი კანონპროექტის საგნობრივ განხილვას, — აღნიშნა კობახიძემ.

მისი თქმით, უმრავლესობა პრაქტიკულად არ იყო ჩართული განხილვაში, რადგან საპარლამენტო უმცირესობამ მიიღო გადაწყვეტილება პროცესის და პროცედურის ხელოვნურად



გახანგრძლივების თაობაზე.

— ეს, რა თქმა უნდა, იყო მათი პოლიტიკური არჩევანი. ჩვენ არ შეგვიძლია რაიმეს გაკეთება, თუ რეგლამენტის შესაბამისად იყენებენ თავიანთ უფლებებს პარლამენტის წევრები. მხოლოდ იქ, სადაც რეგლამენტს უხეშად არღვევდნენ დეპუტატები, მიწევდა მე შესაბამისად რეაგირება, ცალკეულ შემთხვევაში მიკროფონის გამორთვა.

ეს იყო მაქსიმალური რეაგირების მექანიზმი, რომელიც მე შემეძლო გამომეყენებინა და გამოვიყენე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად. მე არაერთხელ გავაფრთხილე ოპოზიციის წარმომადგენლები, რომ ე.წ. ფილიბასტერინგი ხელს შეუშლიდა ამ ძალიან მნიშვნელოვანი პაკეტის საგნობრივად და სიღრმისეულად განხილვას. ეს არ გაითვალისწინეს და შედეგი არის ის, რაც მოხდა, — განაცხადა სპიკერმა.

მისი თქმით, უკეთესი იქნებოდა, თითოეული მუხლის და პუნქტის მიხედვით მომხდარიყო როგორც ძირითადი, ისე სხვა კანონპროექტების განხილვა.

— გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროზე კიდევ ერთხელ დაგვიანონსეს „ფილიბასტერინგი“ ანუ კიდევ ერთხელ გვითხრეს, რომ ისინი ხელოვნურად გაწელავდნენ კანონპროექტის განხილვას, აქედან გამომდინარე, მე დამჭირდა რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება.

ამ უფლებამოსილების გამოყენების მთავარი მიზანი იყო კანონპროექტის საგნობრივი და სიღრმისეული განხილვის უზრუნველყოფა. ეს იყო ერთადერთი საფუძველი იმ გადაწყვეტილების, რომელიც მე მივიღე იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, — ჩააზუსტა ირაკლი კობახიძემ.

ხელისუფლების ყველა არგუმენტი საპარლამენტო უმცირესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

„ევროპულმა საქართველომ“ პლენარულ სხდომას ფარსი უწოდა. მათმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ კი განაცხადა, რომ ქვეყანაში ნებისმიერი ჩვენგანის უკანონო მოსმენები იქნება დაკანონებული.

— 24 თებერვალს ძალიან მკაფიოდ გამოჩნდა ხელისუფლების ნება და, სამწუხაროდ, პარლამენტი გახლავთ ამ ნების უსიტყვო ამსრულებელი, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ ფასად ქვეყანაში დააკანონოს უკანონობა. მათ უნდათ მიიღონ კანონი, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყანაში ნებისმიერი ჩვენგანის უკანონო მოსმენები იქნებადაკანონებული პარლამენტის მიერ, რომელსაც ეწინააღმდეგება საქართველოში ყველა. მაგრამ ეს არის კანონი, რომლის მიღება ქვეყანაში აინტერესებს ერთ ადამიანს, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, დღევანდელი პარლამენტისთვის ბიძინა ივანიშვილის ნება მთელი ქვეყნის ნებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

— ჩვენ ვიხილეთ, რომ ერთი ადამიანის ნება უფრო მაღლა დგას, ვიდრე საზოგადოების სურვილი და განწყობა საქართველოში. საქმე მივიდა იქამდეც კი, რომ პარლამენტმა უარი განაცხადა პროცედურის დაცვაზე და კითხვის დასმის უფლებაზეც. ასეთ პირობებში ჩვენ ასეთ ფარსში მონაწილეობას ვერ მივიღებთ. პარლამენტმა დღევანდელი გადაწყვეტილებით უარი თქვა თავის ფუნქციაზე, უარი თქვა კონტროლზე, საჯაროობაზე. უარი თქვა ელემენტარულ დისკუსიაზე, — განაცხადა უმცირესობის ლიდერმა.

აქედან გამომდინარე მან და მისმა მიმდევრებმა პარლამენტის სხდომა დატოვეს.

— აქედან გამომდინარე, ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი პოლიტიკური მექანიზმი — დემოკრატიულად დავტოვოთ სხდომა და არ მივიღოთ მონაწილეობა ამ ფარსში, რომელიც მიმდინარეობს პარლამენტში, — განაცხადა პროტესტის მებაირაღე დავით ბაქრაძემ.

მათ საპროტესტო მსვლელობას „ქართულ ოცნებაში“ უარყოფითი შეფასებები მოჰყვა.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერის მამუკა მდინარაძის შეფასებით, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა დანაყოფმა დაიწყო საპროცედურო ომი.



მისივე თქმით, უმცირესობა როგორც კი მიხვდა, რომ დაგეგმილი საპარლამენტო საბოტაჟი აღარ გამოსდიოდა, სხდომა დატოვა.

— ისინი იტყუებიან, როდესაც ამბობენ, რომ არ მიეცემოდათ აზრის გამოთქმის საშუალება. შეგიძლიათ თავად ნახოთ ნაციონალური მოძრაობის დარბაზში დარჩენილი ჯგუფის აქტიურობა. ამავე დროს ნიშანდობლივია, რომ საგნობრივი განსჯისას, ბოლო ერთი საათის განმავლობაში შევთანხმდით გაცილებით მნიშვნელოვან და სააგენტოს კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ საკითხებზე, ვიდრე გასულ დღეებში, როდესაც ვისმენდით პოპულისტურ მსჯელობებს დროის გაყვანის მიზნით, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# როგორ შოულობენ დეპუტატები მილიონებს

## „იკვეთება პოლიტიკური კორუფციის ნიშნები“

შორენა მარსაგიშვილი

**რას საქმიანობენ მილიონერი დეპუტატები, როგორ ფორმდება მათ ფირმებთან ხელშეკრულებები? – ამ თემებზე „ახალ თაობას" მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის" თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.**

**დიმიტრი ბიძინაშვილი:**

– რამდენიმე დღის წინ „მედიატორმა“ და „ახალმა საქართველომ“ გამოვაქვეყნეთ კვლევა. ქონებრივი დეკლარაციების შესწავლის შემდეგ საქართველოს პარლამენტში 41 მილიონერი დეპუტატი აღმოჩნდა. ამ თემამ საზოგადოებაში დიდი დაინტერესება გამოიწვია, მედიაში და სოციალურ ქსელებში სულ ამაზე მიდიოდა საუბარი. აქედან გამომდინარე „მედიატორმა“ და „ახალმა საქართველომ“ გადავწყვიტეთ მათი ბიზნესინტერესებიც შეგვესწავლა.

ჩვენ დეპუტატების და მინისტრების ქონებრივ დეკლარაციებს კარგა ხანია რაც ვსწავლობთ. იქ ბევრი საინტერესო დეტალი აღმოვაჩინეთ. ამჯერად ჩვენი კვლევა 1 მინისტრსა და 7 დეპუტატს ეხება.

7 დეპუტატის, 1 მინისტრის და მათი ოჯახის წევრების ფირმებთან ხელშეკრულებების 90% ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ტენდერის გარეშე არის დადებული.

***– ეს მარტო ამ 8 ადამიანს ეხება თუ სხვა დეპუტატების შემთხვევაშიც ვხვდებით ასეთ ფაქტებს?***

– ამ ეტაპზე ჩვენ მილიონერი დეპუტატების და მათი ოჯახის წევრების ბიზნესსაქმიანობას ვსწავლობთ. დროთა განმავლობაში მათ შესახებაც გამოვაქვეყნებთ ინფორმაციას.



### დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქართული ოცნების“ 7 დეპუტატისა და 1 მინისტრის კომპანიებმა 132 მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმეს

მილიონერების გარდა, ჩვენ არამილიონერი დეპუტატების ქონებრივ დეკლარაციებსაც შევისწავლით. ხშირად ხდება ხოლმე, რომ 4-წლიანი დეპუტატობის შემდეგ ესა თუ ის ადამიანი მილიონერი ხდება.

***– კვლევა, რომლის შედეგებიც გაასაჯაროვეთ, რა პერიოდს მოიცავს?***

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პერიოდს. ამ პერიოდში 7 მილიონერი დეპუტატისა და 1 მილიონერი მინისტრის შპს-ებს სახელმწიფოსგან 131.798.784 ლარის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული. აქედან ტენდერის გარეშე 42 მილიონი მიიღეს, ტენდერით – 89 მილიონი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილის 7 კომპანიას, ტენდერის გარეშე, გაფორმებული აქვს 2.679 ხელშეკრულება ჯამურად 29.791.065 ლარის ღირებულებით.

კერძოდ, შპს „იბერია ავტო ჰაუსს“, რომლის საქმიანობაა ავტომობილები, მათი შეკეთება და ტექმომსახურება, 2012 წლიდან დადებული აქვს 108 ხელშეკრულება, საიდანაც მიღებული თანხა 2.020.628 ლარს შეადგენს.

შპს „იბერია სერვისს“, რომლის საქმიანობაა ავტომობილები, მათი შეკეთება და ტექმომსახურება, 2012 წლიდან დადებული აქვს 590 ხელშეკრულება. ხელშეკრულებების თანხა 3.208.526 ლარს შეადგენს.

შპს „იბერია ავტო ლენდის“ საქმიანობაც ავტომობილები, მათი შეკეთება და ტექმომსახურებაა, მასთან დადებულია 495 ხელშეკრულება, თანხა ხელშეკრულებიდან 3.666.250 ლარს შეადგენს.

შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ საქმიანობაა ავტომობილები, მათი შეკეთება და ტექმომსახურება. 2012 წლიდან მასთან 1.375 ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებიდან შემოსულმა თანხამ 20.434.778 ლარი შეადგინა.

შპს „სითი სპორტმა“ 10 ხელშეკრულება გააფორმა. თანხა ხელშეკრულებიდან სულ რაღაც 8.651 ლარს შეადგენს.

შპს „ავტო სერვის კავკასიას“ საქმიანობა ავტომობილები, მათი შეკეთება და ტექმომსახურებაა, დადებული ხელშეკრულების რაოდენობა 36-ია, თანხა ხელშეკრულებიდან 22.247 ლარს შეადგენს.

შპს „ავტო სტილის“ საქმიანობაა ავტომობილები, მათი შეკეთება და ტექმომსახურება. დადებული ხელშეკრულების რაოდენობაა 65, თანხა ხელშეკრულებიდან 429.985 ლარია.

***– დეპუტატებსაც ასეთი მსუყე ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული?***

– მილიონერ დეპუტატებსაც კარგად აქვთ საქმე ამ მხრივ. განსაკუთრებულ ყურადღებას გორის მაჟორიტარი დეპუტატი იოსებ მაკრახიძე იქცევს.

მის კუთვნილ შპს „იბიოლის“, რომლის საქმიანობაა სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობა, სახელმწიფოსთან დადებული აქვს 59 ხელშეკრულება. ხელშეკრულებებიდან მიღებული თანხა 7.387.598 ლარია. აქედან ყველაზე მაღალფასიანი ტენდერი 2.008.218 ლარით განისაზღვრა. ტენდერიდან აღებული თანხა 75.944.160 ლარია, სულ ხელშეკრულებების ღირებულებამ 83.331.758 ლარი შეადგინა.

საინტერესოა მილიონერი კახა ოქრიაშვილის ფირმების ხელშეკრულებებიც.

„პსპ ფარმას“ დადებული აქვს 353 ხელშეკრულება. თანხა ხელშეკრულებიდან 2.856.332 ლარს შეადგენს, ტენდერებიდან 5.726.959 ლარი მიიღო. „პსპ დაზღვევას“ შედარებით ნაკლები, 90 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ხელშეკრულებიდან შემოსული თანხა 833.009 ლარია.

შპს „პსპ აფთიაქს“ დადებული აქვს 1.275 ხელშეკრულება. მიღებული თანხა 1.428.200 ლარით განისაზღვრა.

შპს „ჯი-ემ-პის“ მხოლოდ ერთი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. მიღებული თანხაა 116.478 აშშ დოლარი. მთლიანობაში სულ გაფორმებულია 1.719 ხელშეკრულება. რომლის საერთო ღირებულება 6.147.342 ლარია.

ჩვენი ყურადღების ცენტრში მოხვდა ზაქარია ქუცნაშვილის და მისი ოჯახის ბიზნესსაქმიანობაც. კვლევის თანახმად ირკვევა, რომ დეპუტატის მამის, ომარ ქუცნაშვილის, კუთვნილ შპს „ტექნოს“ დადებული აქვს 9 ხელშეკრულება, ხელშეკრულებიდან მიღებული თანხა 153.533 ლარია, ტენდერიდან მიღებულმა თანხამ 613.578 ლარი შეადგინა.

დეპუტატის მამის შპს „ჯეოინჟინირინგს“ 12 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ხელშეკრულებიდან მათ 413.623 ლარი მიიღეს. სულ გაფორმებულია 21 ხელშეკრულება 1.180.734 ლარის ჯამური ღირებულებით.

მილიონერთა სიაშია დეპუტატი ნინო წილოსანიც. კვლევის თანახმად, ნინო წილოსანის მეუღლის, ვლადიმერ აბულაძის კუთვნილ სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს“ შპს „ვაგონმშენებელ კომპანიას“ ტენდერებიდან მიღებული აქვს 7.225.152 ლარი.

დეპუტატ ელგუჯა გოცირიძის შპს-ს შემოსავალი სხვებთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. მის კუთვნილ ჩაჩავას კლინიკას დადებული აქვს 51 ხელშეკრულება, რომელთა ჯამური ღირებულებაც 77.763 ლარს შეადგენს.

გოჩა ენუქიძის კუთვნილ „იბერკომპანის“ დადებული აქვს 298 ხელშეკრულება, საიდანაც 722.468 ლარი მიიღო. ტენდერიდან მიღებულმა თანხამ 101.700 ლარი შეადგინა.

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის გრიგოლ მიქელაძის კუთვნილ შპს ისნის სავაჭრო ცენტრს დადებული აქვს 122 ხელშეკრულება. ხელშეკრულებიდან 3..220.802 ლარი მიიღო. ტენდერიდან კი – 25.000 ლარი.

***– ალბათ არავისთვის სიახლე არ არის, რომ დეპუტატები და მათი ოჯახის წევრები ბიზნესსაქმიანობას ეწევიან. თქვენი კვლევის შემდეგ შეიცვლება ვითომ რამე?***

– ჩვენ გვინდა, რომ ამას წერტილი დაესვას. დროთა განმავლობაში სხვა დეპუტატებზეც გამოვაქვეყნებთ კვლევებს.

მანამდე კი ჩვენ მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით, შეისწავლონ, ხომ არ ხდება თანამდებობის ბოროტად გამოყენება? ხომ არ ცდილობენ ეს ადამიანები თავისი თანამდებობა გამოიყენონ, რათა გააფორმონ ხელშეკრულება მათი კომპანიისთვის და აქედან გამომდინარე, მიიღონ კოლოსალური თანხები?

სამწუხაროდ, აშკარად ჩანს პოლიტიკური კორუფციის ნიშნები.

# მამუკა ახვლედიანი: „ნარმანია აკეთებს უსინდისო და უტიფარ განცხადებებს“

საკრებულოს ოპოზიცია დავით ნარმანიას რიგგარეშე სხდომაზე მისასვლელად ვადას ოთხშაბათამდე აძლევს

– ქალაქის მერ დავით ნარმანიას ოთხშაბათამდე აქვს ვადა, რათა საკრებულოში მობრძანდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ამის შესახებ საკრებულოს ფრაქცია „მოძრაობა თავისუფლებისათვის – თბილისის“ დეპუტატმა მამუკა ახვლედიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას



განაცხადა. როგორც მამუკა ახვლედიანმა განმარტა, ქალაქის მერი დავით ნარმანია აკეთებს უსინდისო, უტიფარ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს თბილისის საკრებულოს და არჩეული დეპუტატების მისამართით. ამასთან, მამუკა ახვლედიანის თქმით, საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დღის წესრიგში რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნის საკითხი დააყენეს და დავით ნარმანიას აუცილებლად მოუწევს აღნიშნულ სხდომაზე მოსვლა.

– ნარმანია აკეთებს უსინდისო და უტიფარ განცხადებებს, როდესაც შეურაცხყოფას აყენებს თბილისის საკრებულოს არჩეულ დეპუტატებს და თბილისელებს. დავით ნარმანიას არმოსვლა სხდომაზე ნიშნავს, რომ მას არაფრად მიაჩნია თბილისის საკრებულო, ფიქრობს, რომ ცა ქუდად აქვს და დედამიწა ქალამნად მორგებული, მაგრამ ასე არ გაგრძელდება და აგებს პასუხს. ჩვენ ნარმანია თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გვყავს მოწვეული და მას აუცილებლად მოუწევს მოსვლა და კითხვაზე პასუხის გაცემა. ეს არის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული და თუ ნარმანია კანონს დაარღვევს, ეს იქნება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაცდომა, რაც სისხლის სამართლის კოდექსით 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მას აქვს ოთხშაბათამდე ვადა, რათა საკრებულოში მობრძანდეს, – განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

# „გაზპრომთან მოლაპარაკება არასდროსაა ბიზნესგარიგება, ეს ყოველთვის პოლიტიკური გარიგებაა“

– საქართველოს მის უსაფრთხოებაზე მოქმედი გლობალური ფაქტორების კონტროლი არ შეუძლია, მაგრამ ის კვლავ რჩება დასავლეთის ყველაზე სტაბილურ და სანდრო პარტნიორად რეგიონში.

ასეთი იყო ვაშინგტონში ლევან მიქელაძის სახელობის ფონდისა და „ჰერითიჯის ფონდის“ მიერ ორგანიზებული შეხვედრის მთავარი გზავნილები.

ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის წარმომადგენელი, მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული დისკუსიის ერთ-ერთი მოდერატორი მამუკა წერეთელი ამბობს, რომ შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოს არსებულ და პოტენციურ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას.

– განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველოს სჭირდება ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება როგორც მეზობელ სახელმწიფოებთან, ისე მის სტრატეგიულ პარტნიორებთან, მათ შორის ევროკავშირის იმ წევრებთან, რომლებთანაც ისედაც აქვს კავშირი ევროკავშირის ფარგლებში, მაგრამ ასევე საჭიროა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება, მაგალითად, ბრიტანეთთან თუ სხვებთან.

ასევე განხილულ იქნა შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის პოტენციური პოლიტიკა საქართველოს მიმართ და მისი ინტერესის გაღრმავების შესაძლებლობები, – ამბობს მამუკა წერეთელი.

საქართველოსა და დასავლეთის ამჟამინდელ ურთიერთობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა ამერიკის ყოფილმა ელჩმა კენეტ იელოვიცმაც.

მისი თქმით, მაშინ, როდესაც დასავლეთის სამომავლო პოლიტიკური ვექტორები გაურკვევლობითაა მოცული, როდესაც ზუსტად არ ვიცით, როგორი იქნება შტატების პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაციისა და ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოების სამომავლო საგარეო პოლიტიკა, საქართველო ამერიკისა და ზოგადად დასავლეთის მხარდაჭერას ცალსახად ინარჩუნებს.

– ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ახალი ადმინისტრაციის შესახებ, რა მიმართულებით წარიმართება პოლიტიკა, მაგრამ ჩვენ უკვე მოვისმინეთ სახელმწიფო მდივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ ამერიკას ძალიან ძლიერი და პოზიტიური პოლიტიკა აქვს საქართველოს მიმართ და მასთან თანამშრომლობა გაგრძელდება.

გამოთქმულია სურვილი, რომ ითანამშრომლონ საქართველოსთან და ეს ძალიან პოზიტიური ნიშანია ჩემთვის ასეთი დიდი გაურკვევლობის დროს, – უთხრა კენეტ იელოვიცმა შეხვედრის დასრულების შემდეგ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას და დასძინა, რომ საქართველოს კონგრესში ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს და დიდი პოპულარობითა და მხარდაჭერით სარგებლობს.

საქართველოში ამერიკის კიდევ ერთი ყოფილი ელჩი უილიამ კორტნი ამბობს, რომ მთავარ კითხვებზე, რომლებიც რუსეთს შეეხებოდა, პასუხი მეტნაკლებად ცხადია.

– საქართველოსთან მიმართებით რამდენიმე პოზიტიური ფაქტორი უკვე გაცხადდა. მეტნაკლებად უფრო ნათელი გახდა ის, რომ რუსეთთან ვაჭრობა არ მოხდება და არანაირი გარიგება არ შედგება მასთან საქართველოსა და რუსეთის სხვა ყოფილი პოსტსაბჭოთა მეზობლების ინტერესების ხარჯზე, – ამბობს კორტნი და განმარტავს, რომ საქართველოსთვის ისიც მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მტკიცე პოზიციას შეინარჩუნებს დასავლეთი






რუსეთის მიმართ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო.

– თუ დასავლეთი უკრაინის შესახებ მოწოდების სიმაღლეზე დარჩება, ეს რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, – დასძენს უილიამ კორტნი.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს წარმომადგენელი სტივენ ბლანკი კი ფიქრობს, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი და მისწრაფებები ნათელი და მკაფიოა.

– საქართველოს გააზრებული აქვს, რომ მისი მომავალი დასავლეთშია და რომ მისი მოქალაქეების უსაფრთხოებასთან, კეთილდღეობასა და ღირსეულ ცხოვრებასთან დაკავშირებული იმედები მხოლოდ დასავლეთთან ერთად შეიძლება იქცეს რეალობად და არა – აღმოსავლეთთან, – ამბობს სტივენ ბლანკი.

ის იქვე დასძენს, რომ შეშფოთებულია გაზპრომთან საქართველოს მთავრობის შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებებით:

– გაზპრომთან მოლაპარაკება არასდროსაა ბიზნესგარიგება, ეს ყოველთვის პოლიტიკური გარიგებაა, მით უფრო, რომ ენერგია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი იარაღია ამ რეგიონში.

სტივენ ბლანკის აზრით, საქართველოს თავისი მეზობლებისთვის მშვიდობისა და სტაბილურობის მაგალითის ჩვენება შეუძლია:

– საქართველოს შეუძლია სამხრეთ კავკასიის რეგიონში უმნიშვნელოვანესი სამშვიდობო ინიციატივების წამოწყება. შეუძლია მის მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს კონფლიქტის მოგვარებაში მედიატორის როლის შესრულებაც შესთავაზოს. ზოგადად კი იყოს ერთგვარი მაგნიტის როლში რეგიონის ქვეყნებსა და დასავლეთს შორის, რომელიც დაარწმუნებს მათ იმაში, რომ დასავლეთი მათი მოქალაქეებისთვის კეთილდღეობისა და მშვიდობის გზაა.

**ნიუსპრესი**

# დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ღრმავდება

## იქონიებს თუ არა გავლენას საქართველოზე უკრაინის ნეიტრალიტეტი?

მარიამ მჭედლიშვილი

**აშშ-სა და რუსეთს შორის ყველაფერი გარკვეული არ არის, თუმცა შეინიშნება ვაშინგტონის პოლიტიკის გამკაცრება მოსკოვის მიმართ. სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტის გაღრმავებაზე საუბრობენ.**





ამ პროგნოზს აძლიერებს დონალდ ტრამპის ახალი განცხადება აშშ-ის ბირთვული არსენალის ზრდის შესახებ. აშშ და რუსეთი ბირთვული შეიარაღების შემცირებაზე 2010 წელს შეთანხმდნენ, თუმცა რუსეთი ამ შეთანხმებას არღვევს. ამის გამო ბირთვულ პოტენციალს ზრდის ამერიკაც.

რუსეთის მიმართ აშშ-ის პოზიციის შეცვლას უკავშირებენ აშშ-ის ადმინისტრაციაში მომხდარ საკადრო ცვლილებებსაც.

როგორც ცნობილია, ტრამპმა გადააყენა თავისი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში მაიკლ ფლინი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებასთან კავშირები დაუმტკიცდა. მის ადგილას დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ჰერბერტ რეიმონდ მაკმასტერი. ამ გადაწყვეტილებას დადებითად შეხვდნენ ამერიკელი ქორები რესპუბლიკური პარტიიდან, რომლებიც დონალდ ტრამპს ბევრ სხვა საკითხში აკრიტიკებენ.

მაკმასტერი რუსეთიდან მომავალ საფრთხეზე მაშინაც საუბრობდა და წერდა, როცა „სამხედრო შესაძლებლობების ინტეგრაციის ცენტრის“ ხელმძღვანელი იყო. იგი ამ რისკებზე კონგრესმენებს აფრთხილებდა. ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, მაკმასტერი ინტელექტუალური სტრატეგია. ის არ მოერიდება საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას მაშინაც კი, თუ მას ტრამპი არ გაიზიარებს.

კრიტიკოსებს იმის შიში აქვთ, რომ პრეზიდენტი მრჩეველ მაკმასტერს არ დაუჯერებს და თეთრ სახლში სხვა, ჩრდილოვან საბჭოს შექმნის.

რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის მომხრედ ითვლება სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონიც. რუსეთის საგარეო მინისტრ ლავროვთან შეხვედრისას მან რუსეთს მოსთხოვა, შეასრულოს უკრაინაში დეესკალაციის ვალდებულებები.

ამერიკული „ნეიშენელ ინტერესი“ დარწმუნებულია, რომ ობამასეული პირდაპირი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ რუსეთმა ყირიმი უნდა დატოვოს, განწირულია ჩასავარდნად.

გამოცემის თქმით, თუ პუტინი უკრაინას ომით დაიპყრობს, რუსეთის ჯარები პოლონეთის საზღვრამდე მივლენ და ისეთ პოზიციას დაიკავებენ, რომ მთელ დასავლეთს დაემუქრონ.

„ნეიშენელ ინტერესის“ სიტყვებით, დონალდ ტრამპს შეუძლია, პუტინს ეს აგრესიული ნაბიჯი გადაათქმევინოს. ამისათვის რუსეთთან საჭიროა უკრაინის ახალ მოდელზე დალაპარაკება. ამ მოდელით უკრაინა უარს იტყვის ნატოსთან დაახლოებასა და საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგებაზე. საუბარია უკრაინის ნეიტრალიტეტზე.

წესით, მოვლენების ასეთმა განვითარებამ გავლენა უნდა მოახდინოს მთელ რეგიონზე. ეს იმოქმედებს საქართველოზეც, რომელიც, უკრაინის მსგავსად, რუსეთის აგრესიის მსხვერპლია და დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებას ესწრაფვის.

გამოცემის შეფასებით, თუ რუსეთი უკრაინის ნეიტრალიტეტს არ დათანხმდება და მას ძალით დაიპყრობს, იგი თავის წინააღმდეგ აამხედრებს ძლიერ გერმანიასა და ძლიერ იაპონიას, რომელსაც რუსეთთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვს.

— ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ დამეგობრდებიან, მაგრამ ამერიკასა და რუსეთს შეუძლიათ გახდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორები. ამით ისინი თავიდან აიცილებენ არასაჭირო კონფლიქტებს, — ასკვნის გამოცემა.

ამერიკის ადმინისტრაციის მკაცრ განცხადებებს რუსეთის მისამართით უკრაინის პრობლემებზე თავისებურად ხსნიან რუსი ექსპერტები. მათი აზრით, ეს პოლიტიკა შეიძლება უკავშირდებოდეს პოლიტიკურ ვაჭრობას — ამერიკას სჭირდება რუსეთის ლოიალობა ირანისა და ჩინეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამის მოსამზადებლად რუსეთს პრეტენზიებს უყენებს.

# რატომ აჭიანურებს მთავრობა კონფლიქტის ზონის მოსახლეობისთვის 200-ლარიანი ვაუჩერების გაცემას?




შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონაში საგაზაფხულო სამუშაოები არ დაუწყიათ. აქ ჯერ კიდევ თოვლია. მკაცრი ზამთარი არ დასრულებულა.

მთავრობა აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები ჩატარდა და ბუნებრივი აირი ყველა ოჯახისთვისაა ხელმისაწვდომი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის მხრიდან გაიჟღერა 200-ლარიანი ვაუჩერების დარიგების ამბავმაც ბუნებრივი აირის საფასურის დაფარვის მიზნით.

„ამერიკის ხმამ“ ამ თემაზე გასულ წელს რამდენიმე რეპორტაჟი მოამზადა, სადაც ასევე საუბარი იყო ამ ყბადაღებულ 200-ლარიან ვაუჩერზე. პირველი რეპორტაჟი 2016 წლის ნოემბერში გავიდა, მეორე კი — დეკემბერში.

კომენტარებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრი აცხადებს, რომ გამოზამთრების პროგრამის ფარგლებში 200-ლარიანი ვაუჩერები უნდა გაიცეს. ამიტომ კვლავ 200-ლარიანი ვაუჩერის შესახებ რამდენიმე დღის წინანდელი განცხადება „ამერიკის ხმისთვის“ საინტერესო აღმოჩნდა.

დავინტერესდით, იგი გაიცემოდა ხელახლა სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე, თუ — არა. რეალობა განსხვავებული დაგვხვდა:

როგორც ირკვევა, 200-ლარიანი დახმარება კონფლიქტის ზონის სოფლებისთვის, რაც გასული წლის შემოდგომაზე დაანონსდა, დღემდე არ გაცემულა. ქეთევან ციხელაშვილის ახალი განცხადება ასე ჟღერს:

— მივიღეთ გადაწყვეტილება ოკუპირებულ ტერიტორიებთან, გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის 200-ლარიანი ბუნებრივი აირის ვაუჩერით უზრუნველყოფის თაობაზე. ეს განცხადება გამომდინარეობს უწყებათშორისი დროებითი კომისიის წინა წლის ნოემბრის დადგენილებიდან.

ჩვენ წლების განმავლობაში, გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ, ფაქტობრივად ყველა ოჯახს ვეხმარებით გამოსაზამთრებელი ღონისძიებებით, მათ შორის 200-ლარიანი ვაუჩერით. ამჯერად, აღრიცხული ოჯახების რაოდენობა შეადგენს 11 894-ს. თქვენ იცით, რომ გასული წლის ბოლოს, ფაქტობრივად, ყველა სოფლის გაზიფიცირება დასრულდა.

ქეთევან ციხელაშვილმა გასული წლის „ამერიკის ხმასთან“ გააკეთა განცხადება.

— ალტერნატიული ენერგიის წყარო გაუჩნდა ადგილობრივ მოსახლეობას გათბობისთვის. სახელმწიფო ყოველ წელს 200-ლარიანი ვაუჩერით ეხმარებოდა მათ. ჩვენ წელსაც მივიღეთ ამ კომისიაზე გადაწყვეტილება, რომ 200 ლარის საფასურით დავფაროთ მათი გაზის მოხმარება.

რთულია ითქვას, კვლავ უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემაა, თუ რა მიზეზია, რომ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანები დაანონსებული და დაპირებული დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ.

როგორც ირკვევა, მათი უმეტესობა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლების გაზიფიცირება დასრულდა, ბუნებრივ აირს ვერ იყენებს, რადგან მისი საფასურის გადახდა ოჯახის ბიუჯეტისთვის დაუძლეველი გამოწვევაა, ამიტომ კვლავ შეშის მოსაპოვებლად სიარული უწევთ.

* * *

მაგული ოქროპირიძეს ხუთი შვილი ჰყავს. იგი მეუღლესთან და დედამთილთან ერთად სოფელ ერგნეთში ცხოვრობს, ცხინვალთან ახლოს. ომის დროს მათი სახლი დაიწვა, ახლა დანიის ლტოლვილთა კომისარიატის მიერ 2008 წელს გამოზამთრების პროგრამის ფარგლებში აშენებულ პატარა კოტეჯში ცხოვრობს, რომელიც საკუთარ ეზოშივე აუშენეს, დამწვარი სახლის გვერდით.

— აქამდე გაიწელა ამ თანხის დარიცხვა. მერე, რომ ატყდა ამბავი და ხალხმა შეაწუხა, თქვეს, ორ კვირაში დაირიცხებაო. ჯერ არ დარიცხულა, ნოემბერში რომ უნდა დარიცხულიყო, იმ ვაუჩერზეა საუბარი.

არავინ არ იცის ზუსტი პასუხი. არც გამგეობაში იციან. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ. ჩვენ გაზი, მართალია, გვაქვს, მაგრამ გათბობისთვის მაინც შეშის ღუმელს ვიყენებთ. ორჯერ გადავიხადეთ და ჩემს დედამთილს ამის შემდეგ დააკავიწყდა, რანაირია პენსია, ის იხდიდა.

გვეგონა, რომ იქნებოდა ის 200-ლარიანი ვაუჩერი და რაღაცაში დაგვეხმარებოდა. ახლა კიდევ ახალი უბედურება დაგვემატა. ჩვენი სოფელი გადამოწმებაში მოყოლილა და ყველას მოგვიხსნეს სოციალური დახმარება. მივედი, რომ უნდა ამეღო და მოგეხსნათ, ქალბატონო, გადამოწმებაში ხართო. არც მოსულა ვინმე, არც გავუფრთხილებივართ.

ჩვენს ოჯახში არავინ მუშაობს. შეიძლება, აგვისტოსთვის ინახავენ ამ ვაუჩერს, რა ვიცი, რა გითხრათ. ხალხი გადაიტანს ამ ზამთარს როგორმე, — ამბობს მაგული ოქროპირიძე.

ჩვენთან საუბრისას მაგული ოქროპირიძე არა მხოლოდ ბუნებრივი აირის გამოყენების საკთხებზე, არამედ სოფელში უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებზეც საუბრობს.

— სასმელი წყალი რომ გაგვიკეთეს, უამრავი ფული დაიხარჯა, ახლა კი ონკანებს გასდის. დღესაც „ყიდულობენ“ ამ ნაწილებს კომპანიაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ასეთი პასუხი აქვთ: როდესაც ვურეკავთ, გვეუბნებიან, ვყიდულობთ და მოვიტანთო. ჯერ არ მოუტანიათ, წყალი იცლება ავზიდან.

ძველი ჭაბურღილი რომ შეაკეთეს, იმ ამბავზე გეუბნებით, რამდენიღაც ათასი დახარჯეს. უბნის ჩამოსასვლელ გზებთან დააყენეს ჭები, რომლითაც რამდენიმე ოჯახმა უნდა ისარგებლოს. ამ ჭებს კიდევ დაუყენეს უხარისხო ონკანები, საიდანაც წყალი იღვრება, იკარგება, ფაქტობრივად. ის ავზებიც, წყალსაცავები, საიდანაც წყალი მოედინება, ძალიან ძველია.

ჩვენ რომ ვიკითხეთ, გვითხრეს, ბევრი არ იკარგება, მხოლოდ ერთ მეტრამდე იკარგებაო. როგორც ჩანს, მოცულობის გამოთვლა არ იციან. ფაქტობრივად, ერთ ავზზე 1 ტონა და 400 ლიტრი წყალი იკარგება. რატომ დაიხარჯა ფული, თუ საქმე ბოლომდე ვერ გაკეთდა, არ ვიცი, — ამბობს მაგული ოქროპირიძე.

ზაალ ახალკაცი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანში ცხოვრობს, სადაც ასევე ლითონის ღობეა გაბმული. ჩვენთან საუბრისას ისიც ადასტურებს, რომ ადგილობრივებს ნოემბერში დაანონსებული 200-ლარიანი ვაუჩერი გამოზამთრებისთვის არ მიუღიათ.

— არ მიგვიღია ჯერ არაფერი, უნდა ყოფილიყო, მაგრამ სოფელში არავის მიუღია. ამ ზამთარს შეშით ვთბებოდი, გაზი არ მიხმარია, რადგან „კარმის“ ღუმელები ბევრს გაზს წვავს, შემდეგ კი ხალხს გადახდა უჭირს.

ერთ კვირაში გაზაფხულდება. კონფლიქტის ზონაში დაპირებულ 200-ლარიანი ვაუჩერების მიღებას გათბობისთვის მოსახლეობა ზაფხულში ელოდება.

**ნიუსპრესი**

# უჩა ნანუაშვილი: „სამართალდამცავებმა მოქალაქე უკანონოდ დააკავეს“

საქართველოს სახალხო დამცველი სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოქალაქის უკანონო დაკავების ფაქტს გმობს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 23 თებერვალს, 05:42 საათზე, სამართალდამცავებმა უსაფუძვლოდ და უკანონოდ დააკავეს მოქალაქე ა.კ., რომელსაც ამ დრომდე თავისუფლება აქვს აღკვეთილი.

— 23 თებერვალს, ღამის საათებში, მოქალაქის მომართვის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის ადგილზე გამოცხადების შედეგად, ჩხრეკა-ამოღებისა და დაკავების პროცესის უშუალო მონიტორინგმა ცხადყო, რომ ადამიანის თავისუფლების უფლებაში უპრეცედენტო ინტენსივობის უხეში ჩარევა სრულიად უსაფუძვლოდ განხორციელდა.

მოქალაქე ა.კ.-ს დაკავების საფუძველი გახდა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცავი პირების მიერ ამოღებული „კოკა-კოლას“ ერთი



გადაჭრილი ხუფიანი ბოთლი, მასზე არსებული ნამწვით; „ლიკანის“ გადაჭრილი ხუფიანი ბოთლი, „კალკის“ ნაჭრით და 6 ცალი შპრიცი ხუფითა და ნემსებით. ამ ნივთების საფუძველზე დააკავეს ა.კ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, რისთვისაც კანონი ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აპარატის ინფორმაციით, არც ერთი საფუძველი არ არსებობდა ა.კ.-ს დაკავებისას, რამდენადაც თავად ჩხრეკის ოქმების თანახმად, როდესაც აკავებდნენ, არ ჩადიოდა დანაშაულს და სახეზე არ იყო დანაშაულის აშკარა კვალი.

— ა.კ.-ს დაკავება ერთმნიშვნელოვნად არღვევს კონსტიტუციას — წარმოადგენს პირის თავისუფლების ხელშეუხებლობის უხეშ დარღვევას, შესაბამისად, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, — ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რა პრობლემები აქვს ქართველთა დასაქმებას ისრაელში

## იციკ მოშე ისრაელსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლის 100 დღით შეჩერებას ითხოვს



— ტურისტულმა კომპანიებმა უნდა იმუშაონ მხოლოდ ტურიზმზე. რაც შეეხება სამუშაო ვიზებს, ისრაელს სჭირდება პროექტებზე სამუშაოდ ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ისრაელმა განსაზღვროს სამუშაო კვოტა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ისრაელის სახლის" დამფუძნებელმა იციკ მოშემ განუცხადა, რითაც გამოეხმაურა ქართველი ტურისტების ისრაელის საზღვრიდან უკან გამობრუნების გახშირებულ შემთხვევებს.

იციკ მოშეს განმარტებით, სამომავლოდ გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად „ისრაელის სახლი" აპირებს, მომავალ კვირას საქართველოსა და ისრაელის მთავრობებს ინიციატივით მიმართოს, რომლის მიხედვითაც, 100 დღის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლა შეწყდება და სპეციალური კომისია პრობლემის მოგვარებაზე იმუშავებს.

მისი განმარტებით, პირველ რიგში, უნდა გაიყოს ტურიზმი და სამუშაო.

— გაუგებრობა და მედიის კითხვები — რატომ აჩერებენ ქართველ ტურისტებს ისრაელის აეროპორტში? უნდა დასრულდეს. მე არ მინდა, ორ ქვეყანას შორის კარგი წარსული ამ ფრაზეოლოგიამ დააზიანოს. გვჯერა, რომ ინიციატივებს, რომლებსაც მომავალ კვირას დავაყენებთ, ექნება შედეგი.

ორივე ქვეყნის მთავრობას უნდა მივმართოთ, პირველ ეტაპზე, დროებით, 100 დღით შეწყვიტონ უვიზო მიმოსვლა საქართველო-ისრაელს შორის. ამ 100 დღეში უნდა შეიქმნას ორმხრივი კომისია, რომელიც იმუშავებს საკითხების მოგვარებაზე. ისრაელის სახელმწიფომ უნდა გამოყოს სამუშაო კვოტა საქართველოდან ჩასული მოქალაქეებისთვის.

ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ტურისტულმა კომპანიებმა არ ივაჭრონ ადამიანებით და არ მოიტყუონ. ტურისტულმა კომპანიებმა უნდა იმუშაონ მხოლოდ ტურიზმზე, — განაცხადა იციკ მოშემ.

მისივე განმარტებით, თუ იქნება ორივე მხრიდან სურვილი, 100 დღეში ეს საკითხი მოგვარდება.

## შაბთაი ცური: „ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და არც დადგება"

* * *

საქართველოში ისრაელის ელჩ შაბთაი ცურის ინფორმაციით, ისრაელსა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხი დღის წესრიგში არ დგას და არც დადგება.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს შაბთაი ცურიმ „ისრაელის სახლის" ინიციატივის კომენტირებისას განუცხადა.

ელჩის თქმით, კერძო ინიციატივის უფლება ყველას აქვს, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ჩვეულებრივ რეჟიმში გრძელდება.

— ისრაელის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის არსებობს შესანიშნავი ურთიერთობა, რომელიც ყოველდღიურად ღრმავდება და მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. ეს ინიციატივა პირველად გვესმის, არავითარ შემთხვევაში არ არის დღის წესრიგში და არც იქნება. ჩვენ 2014 წელს როგორც მოვაწერეთ ხელი ვიზების გაუქმებას, ისე გრძელდება და ისე იქნება ყველაფერი მაღალ დონეზე, — განაცხადა შაბთაი ცურმა.

ელჩი მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ისრაელის საზღვრის გადაკვეთის პრობლემა, ძირითადად, საბუთების მოუწესრიგებლობის გამო შეექმნათ და აცხადებს, რომ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები მოქალაქეების ინფორმირებულობის ასამაღლებლად მუშაობენ.



— საქართველოსა და ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროების შორის არის დიალოგი სახელმწიფო დონეზე, რომ ჩვენ შევძლოთ, ყველა მოქალაქეს ავუხსნათ, თუ რა არის კრიტერიუმი, რათა საზღვარი გადალახონ.

24 თებერვალს შეხვედრა გაიმართა დაახლოებით 60 ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებთან და ყველას ახსნა-განმარტება მიეცა. მივესალმები, რომ 2015 წელს საქართველოში 70.000 ტურისტი ჩამოვიდა ისრაელიდან, 2016 წელს კი — 100.000, ასევე, აპრილიდან საქართველოსა და ისრაელს შორის რეისების ინტენსივობა 18 ფრენამდე გაიზრდება, — განაცხადა ისრაელის ელჩმა.

# იანვარში ბანკებში დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდების მოცულობა გაიზარდა

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი თებერვლისათვის 17.2 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 167.8 მლნ ლარით ანუ 1.0 პროცენტით მეტია პირველი იანვრისათვის არსებულ მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას 396.3 მლნ ლარით ანუ 4.3 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე 2.4 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა 228.6 მლნ ლარით, ანუ 3.0 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე კლებამ 4.3 პროცენტი შეადგინა).





მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა 28.12 პროცენტი შეადგინა. პირველი იანვრის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, დეპოზიტების ლარიზაცია 0.05 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4.4 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 8.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 3.2 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა – 85.2 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 12.1 პროცენტი შეადგინა.

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2017 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, 230.6 მლნ ლარით (1.2 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით შემცირდა) და 2017 წლის პირველი თებერვლისათვის 19.1 მლრდ ლარი შეადგინა.

ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 97.5 მლნ ლარით (1.5 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 133.1 მლნ ლარით (1.1 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.2 პროცენტით შემცირდა).

რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის იანვრის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 2.0 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 0.9 პროცენტით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით – 6.7 მლრდ ლარის (1.1 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.1 პროცენტით ნაკლები).

2017 წლის იანვრის განმავლობაში 1.5 პროცენტით ანუ 142.2 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის 9.5 მლრდ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა 34.65 პროცენტი შეადგინა.

პირველი იანვრის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მთლიანი სესხების ლარიზაცია 0.60 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# „გომს" აქციზის მატების გამო პროდუქციის რეალიზება 70%-ით შეუმცირდა



სპირტიან სასმელებზე აქციზური განაკვეთის ზრდის გამო კომპანია „გომის" პროდუქციის რეალიზება 70%-ით შემცირდა.

როგორც კომპანიაში ბიზნესკონტრაქტს განუმარტეს, მომხმარებელი ძვირ პროდუქციას აღარ ყიდულობს და ნაცვლად იაფსა და უხარისხოს იძენს.

კომპანიაში განმარტავენ, რომ შემცირებული რეალიზების ფონზე თანამშრომელთა ნაწილობრივ დათხოვნაც მოუხდათ, რადგან საწარმოში მუშაობა სტაბილური აღარ არის.

„გომში" ამბობენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები საქმის კურსში არიან, გამოხატავენ სოლიდარობას, თუმცა ეს საქმეს არ შველის.

— იმპორტიორი კომპანიებისთვის საქართველოს ბაზარი საკმაოდ მცირეა, შესაბამისად, აქციზის ზრდას მათზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. თანამშრომელთა ნაწილს მუშაობა ნაწილობრივ შეჩერებული აქვს, თუმცა არავინ გაგვითავისუფლებია, — განმარტავენ კომპანია „გომში".

აქციზური განაკვეთი სპირტიან სასმელებზე 2016 წელს გაიზარდა. კომპანიების ნაწილი აქციზური განაკვეთის ზრდის გამო არააქციზური, აღურიცხავი პროდუქციის ზრდაზეც საუბრობს.

# გაზსაცავი საქართველოსთვის აუცილებელია

— სოკარი საქართველოში გაზსაცავის მშენებლობას მხარს უჭერს.

ამის შესახებ ბიზნესკონტრაქტს „სოკარ ჯორჯია გაზის" გენერალურმა დირექტორმა აზერ მამმადოვმა პროექტში კომპანიის შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

— მე ვფიქრობ, რომ გაზსაცავი საქართველოსთვის აუცილებელია. პირველ რიგში, ენერგოუსაფრთხოებიდან გამომდინარე. ჩვენ ამ პროექტს მხარს ვუჭერთ. იმას, თუ რამდენად საინტერესო იქნება ეს საინვესტიციო კუთხით სოკარისთვის, ჩვენი დამფუძნებლები გადაწყვეტენ.

ჩვენ ამ პროექტის პრეზენტაციაში ვმონაწილეობდით, როცა ეს პროექტი იქნა წარმოდგენილი, ბიზნესპროექტის სახით. მე ვიცი, რომ სოკარის სპეციალისტებთან, შვილობილ კომპანიებთან კონსულტაციები გაიმართა, მაგრამ ამ ეტაპზე პროექტში



სოკარის მონაწილეობის საკითხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ინფორმაცია არ მაქვს", — განაცხადა მამმადოვმა.

ნავთობისა და გაზის კორპორაცია გაზსაცავის მშენებლობისთვის ტენდერის გამოცხადებას 2018 წელს გეგმავს.

**დავით ჯალაღონია, ბიზნესკონტრაქტი**

# „ევროკავშირის ბაზარი არის სტაბილური და იქ შესვლისთვის ბიზნესს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს"

— ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 2-3-ჯერ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

ამის შესახებ „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის" ვიცე-პრეზიდენტმა ვეფხია გიორგაძემ რადიო „კომერსანტის" გადაცემაში „პროფესიონალები" ისაუბრა.

— ჩვენ დიდი ხანია ევროკავშირთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ ვერ ჩავწვდით მთავარს, ეს ქვეყნები რატომ ვითარდებიან? მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ვაპირებთ, მაგრამ არ ვიცით, როგორ, ვაპირებთ საფონდო ბაზრის განვითარებას, მაგრამ არ ვუკვირდებით ძირითად შეცდომებს.

ეს ყველაფერი არის კერძო საკუთრების პრობლემა. განვითარებულ ქვეყნებში დომინირებულ მდგომარეობაში არის კერძო საკუთრება და არა – სახელმწიფო საკუთრება, 95% არის კერძო საკუთრებაში და, შესაბამისად, თუ ამ საკუთრებით თითოეულ ადამიანს ექნება კარგი ფინანსური მდგომარეობა, თავის იდეებსაც დააფინანსებს.

ჩვენც გვქონდა მსგავსი ჩანასახები საბჭოთა კავშირამდე, მაგრამ დღეს 70% თითქმის სახელმწიფოს საკუთრებაშია და აქედან მომდინარეობს ძირითადი პრობლემაც. ამის განკერძოება აუცილებელია, მნიშვნელოვანია, ეს უფასოდ მოხდეს და თითოეულ მოქალაქეს გადაუნაწილდეს თანაბარი სასტარტო პირობებით, ხოლო შემდეგ თითოეული მოქალაქე თავისი უნარების შესაბამისად მიიღებს იმ ქონებას, რომელიც მას სურს, — განაცხადა ვეფხია გიორგაძემ.

მისივე თქმით, სუბსიდირება არასწორ ეკონომიკურ სტიმულებს ქმნის.

— ჩვენთვის ევროკავშირის ბაზარზე შესვლა ერთმნიშვნელოვნად არის კარგი, ჯერ ინვესტორების, ექსპორტიორებისთვის, ბიზნესმენებისთვის – ეს არის გრძელვადიანი და სტაბილური ბაზარი, რუსეთის ბაზრისგან განსხვავებით.

ამ ბაზარზე ყოველ მეორე თვეში არ იცვლება კანონმდებლობა. ევროკავშირის ბაზარზე, ბოლო ორი წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა ექსპორტიც და იმპორტიც. ექსპორტს რატომ ვერ ვახორციელებთ? იმიტომ, რომ ბიზნესს არ აქვს საშუალება, ახალ ტექნოლოგიებზე მიუწვდებოდეს ხელი და აწარმოოს შესაბამისი ხარისხის პროდუქცია. თუ ეს მოგვარდება, აქ უკვე დაგვრჩება ტექნიკური მხარის მოგვარება, რაც სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე და კანონმდებლობა მოარგოს ევროკავშირის მოთხოვნებს.



აუცილებელია მარკეტინგული კვლევები ბაზრის მხრივ და არანაირი სუბსიდირება ამ თუ იმ სფეროში. სუბსიდირების დროს ერთი განვითარებული დარგიდან ვიღებთ და ვაწვდით დარგს, რომელიც არ არის განვითარებული, ანუ ვქმნით არასწორ ეკონომიკურ სტიმულებს, შესაბამისად, არასწორი განვითარება იწყება, — განაცხადა გიორგაძემ.

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის" ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში უფრო ვითარდება, რაც არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით არის გამოწვეული.

— საჭიროა, თითოეულ ბიზნესმენს მისცენ ახალი ძალა, რომ განვითარდნენ და შესაბამისი პროდუქცია აწარმოონ. მე იმედი მაქვს, მოქალაქეები უვიზო მიმოსვლას გამოიყენებენ და ნახავენ, როგორ კეთდება ბიზნესი ევროკავშირში. დღეს ყველა არხი ღიაა და საქართველოდან შეგვიძლია შეხვედრების დაგეგმვა. ეს ყველაფერი ჩაანაცვლებს დსთ-ს ბაზარს, მაგრამ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ბიზნესს, რომ ეს სწრაფად მოხდეს.

პირველ რიგში, ხელისუფლების გასაკეთებელია უფასო განკერძოება. ქართული კომპანიებისთვის რუსეთის ბაზარი არის მოკლევადიანი გათვლა და ევროპელი ბიზნესმენები გათვლას აკეთებენ გრძელ ვადებზე. რაც შეეხება მასზე დამოკიდებულებს, ვფიქრობ, ჩვენ უბრალოდ შეჩვეული ვართ ამ ბაზარს, — ამბობს გიორგაძე.

**კომერსანტი.გე**

# კიმ ჩენ ნამი აკრძალული ნივთიერებით მოკლეს




ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის ძმის, კიმ ჩენ ნამის მკვლელობაზე სულ უფრო მეტი დეტალი ხდება ცნობილი.

მკვლელობის დროს დამნაშავეებმა აკრძალული ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერება გამოიყენეს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საშიში შხამია მსოფლიოში და ადამიანის სიკვდილს რამდენიმე წუთში იწვევს. ასე მოხდა კიმ ჩენ ნამის შემთხვევის დროსაც, როდესაც მას სახეზე შხამი მიასხეს, ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ძმაზე თავდასხმა 13 თებერვალს მოხდა კუალა ლუმპურის აეროპორტში. მკვლელობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი უკვე დაკავებულია, დანარჩენებს კი აქტიურად ეძებს მალაიზიის პოლიცია.

ერთ-ერთი ეჭვმიტანილი ჩრდილოეთკორეელი დიპლომატია.

კიმ ჩენ ნამის მკვლელობის მთავარ ვერსიას ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამდე მივყავართ, რადგან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩრდილოეთ კორეაში კიმ ჩენ ნამის ლიკვიდაციას დიდი ხანია გეგმავდნენ.

# სირიაში აფეთქებას 48 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა



სირიაში, ქალაქ ალ-ბაბის ჩრდილოეთ ნაწილში ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შემდეგაც 48 ადამიანი დაიღუპა. არიან დაშავებულებიც. აფეთქების მიზეზი თვითმკვლელი ტერორისტია, რომელმაც მანქანაში თავი აიფეთქა. სხვა დეტალები თუ კონკრეტულად სად მოხდა აფეთქება, ცნობილი არ არის. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. ეს ტერორისტული აქტი სირიის თავისუფალი არმიის წარმომადგენლების წინააღმდეგ იყო გათვლილი. 23 თებერვალს თავისუფალი არმიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, რომ ქალაქი ალ-ბაბი სრულად განთავისუფლებული იყო ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებისგან.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ტრამპს აშშ-ის ბირთვული არსენალის გაზრდა სურს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკის ბირთვული არსენალის გაზრდას აპირებს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ არსენალის შემცირება არ შეიძლება, რადგან ეს ცალმხრივი აქტი იქნება.

– რუსები თავის ბირთვულ არსენალს არ შეამცირებენ, ჩვენ კი ცალმხრივად ამის გაკეთებას არ ვაპირებთ, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთი არღვევს შეთანხმებებს საშუალო და მცირე დისტანციაზე მოქმედი რაკეტების შესახებ. რუსები ცდილობენ, რომ აშშ-ზე სამხედრო უპირატესობა მოიპოვონ.

– აშშ-საც არ რჩება სხვა გამოსავალი, მან უნდა საკუთარი ბირთვული არსენალი გაზარდოს, – განაცხადა ტრამპმა

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყნის ბირთვული პოტენციალი ნებისმიერ სახელმწიფოზე უფრო ძლიერი იქნება.

# ერაყის არმიამ მოსულის აეროპორტი გაათავისუფლა



ერაყის არმიამ კონტროლი დაამყარა სტრატეგიულად მნიშვნელოვან მოსულის აეროპორტზე. ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები დიდი დანაკარგით იხევენ უკან.

აეროპორტის აღების შემდეგ ერაყის არმიის შანსები, დაამყაროს სრული კონტროლი მოსულიზე, გაიზარდა.

მოსული ერაყის ყველაზე დიდი ქალაქია, რომელსაც ისლამისტები აკონტროლებენ. თუკი ერაყის არმიამ მისი აღება შეძლო, ამით ომში ისლამისტებისთვის საზიანო გარდატეხა დაიწყება.

# ნიდერლანდების პარლამენტის ქვედა პალატამ უკრაინა-ევროკავშირის შეთანხმებას მხარი დაუჭირა



ნიდერლანდების პარლამენტის ქვედა პალატამ უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციას მხარი დაუჭირა.

კენჭისყრა განსაკუთრებულ რეჟიმში მიმდინარეობდა. დეპუტატები ჯერ გამოკითხეს, უჭერენ თუ არა მხარს ასოცირების საკითხზე ხელშეკრულების რატიფიკაციას, ხოლო ამის შემდეგ საკითხი კენჭისყრაზე დადგა.

დეპუტატების უმრავლესობამ ხმა ასოცირების სასარგებლოდ მისცა.

ახლა საკითხი ჰოლანდიის სენატს გადაეცემა. იქ უმრავლესობას უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოციაციის მომხრენი შეადგენენ. როცა სენატი პარლამენტის ქვედა პალატის დადგენილების მხარდაჭერას დააფიქსირებს, დოკუმენტი ხელმოსაწერად მეფეს გადაეგზავნება, მისი ხელმოწერის შემდეგ კი კანონის ძალას მიიღებს.

# ჩურკინს ილიჩოვი შეცვლის




ვიტალი ჩურკინის ნაცვლად რუსეთის წარმომადგენელი გაეროში დროებით პეტრე ილიჩოვი იქნება.

საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვინ შეცვლის ჩურკინს, მალე იქნება მიღებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ჩინელმა შეყვარებულს ფულის კუპიურებისგან დამზადებული თაიგული აჩუქა



ჩინეთის პროვინცია გირინის ქალაქ ჩანჩუნის მცხოვრებმა, თავის შეყვარებულ გოგონას ფულის კუპიურებისგან დამზადებული თაიგული მიართვა. მამაკაცმა ყვავილების მაღაზიაში მიიტანა ჩანთა, რომელშიც 10 ათასი იუანი იდო წვრილი კუპიურებით და მის თანამშრომლებს სთხოვა, მათგან ქაღალდის ვარდები დაემზადებინათ. მისი თქმით, მას სურდა, რომ თავისი მეგობარი გოგონასთვის კარგი მამლის წლის დასაწყისი მოეწყო.

უჩვეულო თაიგულის ფოტოსურათმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ჩინურ სოციალურ ქსელებში.

– მისი გოგონას ადგილზე ასეთ საჩუქარზე უარს ვიტყოდი, – დაწერა თავის კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ეს დამამცირებელია და არა რომანტიკული. და რას გეგმავს ის ერთი წლის, ორი წლის შემდეგ? – დაინტერესდა მეორე ინტერნეტმომხმარებელი.

# მაიკლ ჯექსონის შვილმა ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა




ცნობილი მუსიკოსის მაიკლ ჯექსონის შვილმა პერისმა მოდური ჟურნალისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მისი ფოტოსურათი გამოცემამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

სურათების გადაღების გარდა, რომლისთვისაც 18 წლის პერისი ლურჯი ფერის კაბაში იყო გამოწყობილი, მან ჟურნალს ინტერვიუც მისცა. ტექსტური მასალის მომზადებაში კინორეჟისორმა და მსახიობმა ლი დენიელსმა მიიღო მონაწილეობა. მან სოციალურ ქსელში საკუთარ აკაუნტში პერისთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ჟურნალისთვის გადაღებულმა კადრმა სოციალურ ქსელში ოთხი ათასზე მეტი მოწონება მიიღო. ჟურნალის ახალი ნომერი 2 მარტიდან გაიყიდება.

# 20 დოლარის სანაცვლოდ ბავშვი ხარზე ამხედრდა



სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც ასახულია, როგორ მიდის მიწაზე გაწოლილ ხართან ბავშვი, მას ზურგზე შეახტება, ცხოველი კი წამოხტება და სირბილს იწყებს. ვიდეო აქ წყდება. ვიდეოს დასაწყისში მამაკაცი, სავარაუდოდ, ბავშვის მამა ამბობს, რომ ბიჭს ამისთვის 20 დოლარს შეჰპირდა. ასევე ვიდეოჩანაწერში ისმის გოგონას ხმა, სავარაუდოდ, ბიჭის დის, რომელიც ამბობს, რომ „ეს სახიფათოა“. დედა მას ეთანხმება, მაგრამ, ამავე დროს, ბავშვის შეჩერებას არავინ ცდილობს.

როგორც ჩანს, ჩანაწერი უცბად წყდება, ვინაიდან მშობლები შვილის გადასარჩენად გაიქცნენ, როდესაც ხარი ფეხზე წამოხტა.

აღნიშნული ვიდეო ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრებმა სკოტ კლარკმა გამოაქვეყნა. ვიდეოს კომენტირებისას, რომელიც უკვე 7,2 მილიონმა ადამიანმა ნახა, მამაკაცმა დაწერა: „არ მეგონა, რომ ის მართლაც მიეპარებოდა ხარს და, მით უმეტეს, ზურგზე შეახტებოდა“.

ვიდეოს ავტორის თქმით, მომხდარის შედეგად ბავშვი, რომელიც ხარს ყოველდღე საკუთარი ხელით აჭმევს, არ დაშავებულა. ის ახლა საკუთარ თავს კოვბოის უწოდებს. კლარკმა სოციალურ ქსელში ასევე განათავსა ბავშვის სურათი, რომელსაც კმაყოფილი სახით ხელში 20-დოლარიანი უჭირავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



# როგორ დავიცვათ თვალი გაზარმაცებისგან

ეკა ირემაშვილი

ამბლიოპია ანუ ზარმაცი თვალი მხედველობის ორგანოს პათოლოგიაა. ამბლიოპია ნიშნავს მხედველობის დაქვეითებას, რაც განპირობებულია მხედველობის სისტემის ნორმალური განვითარების შეფერხებით. ამის მიზეზი კი შეიძლება მრავალგვარი იყოს.

ამბლიოპიის დროული დიაგნოსტიკა გულისხმობს იმას, რომ გამოსავალი დროული ჩარევის შემთხვევაში იქნება უფრო წარმატებული, ხოლო გვიანი დიაგნოსტიკის შემთხვევაში სამკურნალო ღონისძიებების ეფექტურობა ქვეითდება. დაგვიანების შემთხვევაში უკვე მხედველობითი სისტემა განვითარებას ამთავრებს, რადგანაც ეს ბავშვის განვითარების ადრეულ ასაკში ხდება.

ამიტომ მშობლებმა თავიანთ პატარებს ყურადღება დაბადებისთანავე უნდა მიაქციონ და დროულად მიუყვანონ სპეციალისტს, რათა მკურნალობა დროულად დაიწყონ და მხედველობასთან დაკავშირებული შემდგომი გართულებები თავიდან აირიდონ.

რა განაპირობებს დაავადების წარმოშობას, რამდენი სახის ამბლიოპია და მკურნალობის რა ღონისძიებები არსებობს? — ამ თემებზე კლინიკა „მზერის“ ექიმი-ოფთალმოლოგი მაია საგინაშვილი საუბრობს.

**მაია საგინაშვილი:**

— ზარმაცი თვალი ანუ ამბლიოპია ნიშნავს მხედველობის დაქვეითებას, რაც განპირობებულია მხედველობის სისტემის ნორმალური განვითარების შეფერხებით. ამის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს.

ამბლიოპია შეიძლება იყოს ცალმხრივი, იშვიათ შემთხვევაში გვხვდება ორმხრივი. მისი მიზეზი შეიძლება იყოს ობსკურაციული ამბლიოპია, როდესაც თვალის ოპტიკურ შრეებში თანდაყოლილი ანდა შემდგომ შეძენილი შემღვრევებია. ასეთია, მაგალითად, ცალმხრივი კატარაქტა.

აგრეთვე შეიძლება შეგვხვდეს დისბინოკულური ამბლიოპია, როდესაც საქმე გვაქვს ცალმხრივ სიელმესთან და ასევე შეგვხვდება ანიზომეტროპიული ამბლიოპიებიც, რომლებიც გვხვდება ცალი თვალის მაღალი რეფრაქციული მანკების არსებობის შემთხვევაში. ეს არის მაღალი შორსმხედველობა, მაღალი ახლომხედველობა ან ასტიგმატიზმი.

ასეთივე მიზეზები შეიძლება იყოს ერთდროულად ორივე თვალში.

***— რას გულისხმობს ამბლიოპიის დროული დიაგნოსტიკა?***

— ამბლიოპიის დროული დიაგნოსტიკა გულისხმობს იმას, რომ გამოსავალი დროული ჩარევის შემთხვევაში იქნება უფრო წარმატებული, ხოლო გვიანი დიაგნოსტიკის შემთხვევაში სამკურნალო ღონისძიებების ეფექტურობა ქვეითდება. დაგვიანების შემთხვევაში უკვე მხედველობითი სისტემა განვითარებას ამთავრებს, რადგანაც ეს ბავშვის განვითარების ადრეულ ასაკში ხდება.

ჩვენს კლინიკაში წარმატებით ხორციელდება ბავშვების გამოკვლევა ნული ასაკიდან ზემოთ. აქ შესაძლებელია გამოვიკვლიოთ ჩვილი და ახალშობილი ბავშვები, მცირე ნარკოზის პირობებში მოხდეს მათი სრული გამოკვლევა როგორც ულტრაბგერით, ასევე კომპიუტერული ხელსაწყოების საშუალებით.

***— თანდაყოლილი კატარაქტის დროული გამოვლენა შესაძლებელია?***

— დიახ. თანდაყოლილი კატარაქტის დროული გამოვლენა და მისი დროული ქირურგიული მკურნალობა წარმოადგენს სწორედ საფუძველს შემდგომ მისი მხედველობის განვითარებისთვის. ჩვენს კლინიკაში შესაძლებელია ახალშობილებში თანდაყოლილი კატარაქტის ქირურგიული მკურნალობა და შემდგომი მათი მხედველობის განვითარების მართვა ბავშვებზე ამბულატორიული დაკვირვებით. ჩვენთან ასევე შესაძლებელია ყველა ასაკის ბავშვის გამოკვლევა რეფრაქციული ანომალიებისას — შორსმხედველობა, ახლომხედველობა, ასტიგმატიზმი მაქვს მხედველობაში.



ამ მიმართულების ხდება სათვალის დროულად შერჩევა, მხედველობის კორექცია, ასევე გვაქვს ბავშვთა მხედველობის დაცვის კაბინეტი, სადაც სპეციალური კომპიუტერული ვარჯიშების საშუალებით ხდება ამბლიოპიის მკურნალობა.

როგორც ვთქვით, ამბლიოპია არის მხედველობის სისტემის ნორმალური განვითარების შეფერხება. მხედველობითი ფუნქციები ბავშვებში ადრეულ ასაკში ვითარდება, ამიტომაც ადრეულ დიაგნოსტიკას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ეს განვითარების პერიოდი დამთავრდება, შემდგომ სამკურნალო ღონისძიებები არაეფექტურია. კლინიკაში ფუნქციონირებს ბავშვთა და მოზარდთა მხედველობის დაცვის კაბინეტი, სადაც შესაძლებელია რეფრაქციის დიაგნოსტიკა და მისი კორექცია ნული ასაკიდან ზევით.

***— როგორ დავიცვათ თვალი გაზარმაცებისგან?***

— ყველაზე კარგი საშუალება ამბლიოპიის ანუ თვალის გაზარმაცებისაგან თავის დასაცავად არის ოფთალმოლოგთან დროული კონსულტაცია. უნდა მიმართოთ ოფთალმოლოგს ახალშობილებში, ჩვილებში, მიუხედავად იმისა, გეჩვენებათ რამე უცნაური, არაბუნებრივი თქვენი შვილების თვალების დათვალიერებისას თუ არა.

ასევე შემდგომ პერიოდშიც საჭიროა სპეციალისტთან ვიზიტი, რადგან გვაქვს შემთხვევები, მაგალითები, გამოცდილება, რომ ამბლიოპიის დიაგნოსტირება ხდება ხშირად სასკოლო ასაკში ანდა უფრო მოგვიანებითაც, რა დროსაც უკვე მისი მკურნალობა სრულიად არაეფექტურია. მშობლებს ასეთ დროს მაქსიმალური ყურადღება მართებთ, რათა პრობლემა დროულად იქნეს შემჩნეული და მოგვარებული.

## კალეიდოსკოპი

# 94 წლის ჩინელი კუნგ-ფუს მოყვარული ინტერნეტში პოპულარობას იხვეჭს



ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის მცხოვრებმა ქალბატონმა სოციალურ ქსელებში სახელი მას შემდეგ გაითქვა, როდესაც 94 წლის ქალის კუნგ-ფუში ვარჯიშის ამსახველი ვიდეოები გამოჩნდა ინტერნეტში.

ჩჟან ჰესიანი საბრძოლო ხელოვნებამ ოთხი წლის ასაკში გაიტაცა, ხოლო როდესაც მოზრდილი გახდა, ქალაქ ნინბოში უკვე სხვებს ავარჯიშებდა. ამჟამად, პენსიონერი ქალბატონი ყოველდღე ვარჯიშობს, ხოლო იარაღად ხის ჯოხს იყენებს. ის თავის შვილთან ერთად ვარჯიშობს და უკვე შვილიშვილის შვილსაც ასწავლის.

ჰესიანი შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება და ასევე კარგი ჯანმრთელობითაც გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მას „ქალი რაინდს“ ეძახიან. მისი თქმით, ახალგაზრდობაში მან უცნობი, რომელიც ქალს სცემდა, მკერდში ერთი დარტყმით შეაჩერა.

# შიშველი ჩინელი მიწისქვეშ მილში გაიჭედა



ჩინეთში გადაარჩინეს შიშველი მამაკაცი, რომელიც ღრმა ჭაში ჩავარდა. ინციდენტი შანდუნის პროვინციის ქალაქ შოუგუანის მახლობლად მოხდა. მამაკაცი საზოგადოებრივ ტუალეტში მიდიოდა, მაგრამ ფეხი დაუცდა, ჭაში ჩავარდა და მის ფსკერზე დაახლოებით 10 მეტრის სიღრმეში ვიწრო მილში გაიჭედა.

მასთან თოკი ჩაუშვეს, მაგრამ მამაკაცმა მოჭიდება ვერ შეძლო. მაშინ გადაწყვიტეს, რომ ექსკავატორების დახმარებით ჭა გაეფართოებინათ. ორმოც წუთში სამი ექსკავატორის დახმარებით მეხანძრეებმა რვა მეტრის სიღრმეში მოახერხეს ჩასვლა, დანარჩენი ორი მეტრი ნიჩბებით გამოთხარეს, შიშველი მამაკაცი მილიდან ამოიყვანეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# ბრიტანელი საკუთარ თავს მიჰყვება ცოლად



ბრიტანეთის ქალაქ როტერემის მცხოვრებმა საკუთარ თავს ქორწილი გადაუხადა. 39 წლის მანძილზე ლინ გოლოგლიმ ვერ მოახერხა ეპოვნა ცხოვრების თანამგზავრი და ამიტომ გადაწყვიტა ძიება შეეწყვიტა.

ბრიტანელმა ქალბატონმა, რომელიც ბიზნეს-ანალიტიკოსად მუშაობს, ყოველგვარი რომანტიული ორთიერთობის სურვილი დაკარგა. მან საკუთარ თავზე დაქორწინების ცერემონია მიმდინარე წლის აპრილისთვის დაგეგმა. ღონისძიება ტრადიციული ქორწილის სახით გაიმართება, რომელზეც მიწვეულები იქნებიან სტუმრები, ხოლო პატარძალი თეთრ საქორწინო კაბაში იქნება გამოწყობილი. თაფლობის თვეს გოლოგლი რომში გაატარებს.

— ახალგაზრდობაში ერთხელ დანიშნული ვიყავი, მაგრამ ის სისულელე იყო და მას არაფერი მოჰყოლია, — განაცხადა ბრიტანელმა.

მისი თქმით, საკუთარ თავზე დაქორწინების იდეა მას შემდეგ დაებადა, როდესაც ამერიკული კომედიური სერიალი „მეგობრები“ ნახა, რომელშიც ერთ-ერთი გმირი სწორედ ასევე მოიქცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბარსელონა მადრიდში ჩადის, ლესტერი ლივერპულს უმწვრთნელოდ დაუხვდება

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მორიგი ტურია, რომლის გამორჩეული მატჩი უდავოდ ესპანეთშია – მადრიდის ატლეტიკო შინ ბარსელონას დაუხვდება. ესპანეთშივე საინტერესო იქნება ვილიარეალი-რეალის დაპირისპირება. საინტერესო მატჩია იტალიაშიც – მილანის ინტერი სან სიროზე რომას უმასპინძლებს, საფრანგეთში კი მოძლიერებული მარსელი პარი სენ ჟერმენს დაუხვდება. ასევე ინტერესით ელიან გულშემატკივრები ინგლისში გასული სეზონის ჩემპიონ ლესტერისა და ლივერპულის ჯახს, თუმცა, გასული სეზონის გმირი, ლესტერის იტალიელი თავკაცი, უკვე გმირი აღარ არის და თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 25.02 | ჰალი-ბარნლი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 25.02 | ჩელსი-სუონსი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 25.02 | კრ.პალასი-მიდლსბრო | 2.1 | 3.0 | 4.0 |
| 25.02 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.4 | 4.6 | 8.0 |
| 25.02 | უოტფორდი-ვესტ ჰემი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 26.02 | ტოტენჰემი-სტოკი | 1.36 | 4.75 | 8.5 |
| 27.02 | ლესტერი-ლივერპული | 5.5 | 4.0 | 1.6 |

**ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბრენდან გალოვეი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ ფედერიკი, გაუმ უილსონი, სიმონ ფრანსისი

**ჰალი-ბარნლი**

ჰალი: ***ტრავმ***-აბელ ერნანდესი, დომერკი მბოკანი, მაიკლ დაუსონი, რაიან მეისონი, კურტის დავისი, ბრაიან ლენიანი, მარკუს ჰენრიკსენი, უილიამ კეინი

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივენ დეფო, დინ მარნი

**ჩელსი-სუონსი**

ჩელსი: ***ტრავმ***-ჯონ ტერი

სუონსი: ***ტრავმ***-ნათან დაიერი, კი სუნგ-იუნგი, ლეონ ბრაიტონი, ჯეფერსონ მონტერო

**კრ.პალასი-მიდლსბრო**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-სკოტ დანი, ბაქარი საკო, კრისტიან ბენტეკე, კონორ უიკჰემი, სტივ მანდადა, პაპე სუარე

მიდლსბრო: ***ტრავმ***-ჯორჯ ფრინდი

**ევერტონი-სანდერლენდი**

ევერტონი: ***ტრავმ***-რომელუ ლუკაკუ, ჯეიმს მაკკარტნი, კევინ მირალაში, დომინიკ კარტერ-ლევინი, იანიკ ბოლასიე, მუჰამედ ბესიჩი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ჯეკ როდველი, ვიქტორ ანიშებე, იან კირჰოფი, დანკან უიტმორი, პადი მაკნაირი, ლი კატერმოლი

**უოტფორდი-ვესტ ჰემი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ხუან ზუნიგა, გოსტელ პანტილიმონი, კრისტიან კაბასელე, ნორდინ ამრაბატი, რობერტო პერეირა

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-აარონ გრესველი, ანჯელო ოგბონა, არტურ მასუაკუ, დიაფრა სახო, გოკჰან ტორე

**ტოტენჰემი-სტოკი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დანი როუზი, იან ვერტოგენი, ერიკ ლამელა

სტოკი: ***ტრავმ***-ფილიპ ბიორდსლი, ხერდან შაქირი, ჯონათან ვალტერსი, ჯეფ კამერონი

**ლესტერი-ლივერპული**

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

ლივერპული: ***ტრავმ***-დანიელ სტარიჯი, ოვიე ეჯარია, მარკო გრუჯიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 25 | 19 | 3 | 3 | 52-18 | 60 |
| 2.სიტი | 25 | 16 | 4 | 5 | 51-29 | 52 |
| 3.ტოტენჰემი | 25 | 14 | 8 | 3 | 46-18 | 50 |
| 4.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54-28 | 50 |
| 5.ლივერპული | 25 | 14 | 7 | 4 | 54-30 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 38-21 | 48 |
| 7.ევერტონი | 25 | 11 | 8 | 6 | 40-27 | 41 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 7 | 8 | 34-31 | 37 |
| 9.სტოკი | 25 | 8 | 8 | 9 | 30-36 | 32 |
| 10.ვესტ ჰემი | 25 | 9 | 5 | 11 | 34-43 | 32 |
| 11.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-31 | 30 |
| 12.ბარნლი | 25 | 9 | 3 | 13 | 27-36 | 30 |
| 13.უოტფორდი | 25 | 8 | 6 | 11 | 29-42 | 30 |
| 14.ბორნმუთი | 25 | 7 | 5 | 13 | 35-49 | 26 |
| 15.სუონსი | 25 | 7 | 3 | 15 | 31-54 | 24 |
| 16.მიდლსბრო | 25 | 4 | 10 | 11 | 19-27 | 22 |
| 17.ლესტერი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-43 | 21 |
| 18.ჰალი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-49 | 20 |
| 19.კრ.პალასი | 25 | 5 | 4 | 16 | 32-46 | 19 |
| 20.სანდერლენდი | 25 | 5 | 4 | 16 | 24-46 | 19 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ალავესი-ვალენსია | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 25.02 | ბეტისი-სევილია | 3.8 | 3.5 | 1.95 |
| 25.02 | ლეგანესი-დეპორტივო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 25.02 | ეიბარი-მალაგა | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 26.02 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.61 | 3.8 | 5.5 |
| 26.02 | ატლეტიკო-ბარსელონა | 2.8 | 3.4 | 2.45 |
| 26.02 | ხიხონი-სელტა | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 26.02 | ბილბაო-გრანადა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 26.02 | ვილიარეალი-რეალი | 4.6 | 3.8 | 1.73 |

**ალავესი-ვალენსია**

ალავესი: ***ტრავმ***-ედგარი

ვალენსია: ***ტრავმ***-სანტი მინა, როდრიგო მორენო

**ბეტისი-სევილია**

ბეტისი: ***ტრავმ***-ხოსე კარლოსი, ხოაკინი

სევილია: ***ტრავმ***-ნიკოლას პარეხა, კარლოს ფერნანდესი, მაიკლ კრონდელი, ბენუა ტრემულანისი

**ლეგანესი-დეპორტივო**

ლეგანესი: ***ტრავმ***-დავიდ ტიმორი, ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი, კონე

დეპორტივო: ***ტრავმ***-არავინ

**ეიბარი-მალაგა**

ეიბარი: ***ტრავმ***-დანი გარსია, ალექსის გალვესი, ასიერ რიესგო, დავიდ ჯუნკა

მალაგა: ***ტრავმ***-ბაქარი კონე, რეკიო, ლუის მუნიოსი, სანდრო რამირესი, ფედერიკო რიკა, ზდრავკო კუზმანოვიჩი

**ესპანიოლი-ოსასუნა**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მარკ ნავარო, ვიქტორ სანჩესი, ლეო ბაპტისტაო

ოსასუნა: ***ტრავმ***-ტანო ბონინი, ნაუზეტი, მიგელ ფლანო, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

**ატლეტიკო-ბარსელონა**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ხუანფრანი, დიეგო გოდინი, იან ობლაკი, ტიაგო, აუგუსტო ფერნანდესი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ალექსის ვიდალი, არდა თურანი, ხავიერ მასკერანო

**ხიხონი-სელტა**

ხიხონი: ***ტრავმ***-ჟან-სილვიან ბაბინი

სელტა: ***ტრავმ***-უგო მალო

**ბილბაო-გრანადა**

ბილბაო: ***ტრავმ***-საბინი, კეპა არიზაგაბალა

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**ვილიარეალი-რეალი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-არავინ

რეალი: ***ტრავმ***-დანილო, სერხიო რამოსი, ფაბიო კოენტრაუ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 22 | 16 | 4 | 2 | 57-20 | 52 |
| 2.ბარსელონა | 23 | 15 | 6 | 2 | 63-19 | 51 |
| 3.სევილია | 23 | 15 | 4 | 4 | 46-28 | 49 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 13 | 6 | 4 | 43-19 | 45 |
| 5.სოსიედადი | 23 | 13 | 2 | 8 | 36-32 | 41 |
| 6.ვილიარეალი | 23 | 10 | 9 | 4 | 30-15 | 39 |
| 7.ეიბარი | 23 | 10 | 5 | 8 | 36-31 | 35 |
| 8.ბილბაო | 23 | 10 | 5 | 8 | 28-28 | 35 |
| 9.სელტა | 22 | 10 | 3 | 9 | 36-36 | 33 |
| 10.ესპანიოლი | 23 | 8 | 8 | 7 | 30-31 | 32 |
| 11.ალავესი | 23 | 7 | 9 | 7 | 22-28 | 30 |
| 12.ლას პალმასი | 23 | 7 | 7 | 9 | 32-35 | 28 |
| 13.მალაგა | 23 | 6 | 8 | 9 | 31-37 | 26 |
| 14.ვალენსია | 23 | 7 | 5 | 11 | 33-41 | 26 |
| 15.ბეტისი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-35 | 24 |
| 16.დეპორტივო | 22 | 4 | 7 | 11 | 26-35 | 19 |
| 17.ლეგანესი | 23 | 4 | 6 | 13 | 16-39 | 18 |
| 18.ხიხონი | 23 | 4 | 4 | 15 | 25-47 | 16 |
| 19.გრანადა | 23 | 3 | 7 | 13 | 21-49 | 16 |
| 20.ოსასუნა | 23 | 1 | 7 | 15 | 24-52 | 10 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 25.02 | დარმშტადი-აუგსბურგი | 2.9 | 3.0 | 2.6 |
| 25.02 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 5.5 | 4.5 | 1.57 |
| 25.02 | ლაიპციგი-კიოლნი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 25.02 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1.17 | 7.0 | 17.0 |
| 25.02 | ჰერტა-აინტრახტი | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 26.02 | ინგოლშტადი-გლადბახი | 2.7 | 3.2 | 2.8 |
| 26.02 | შალკე-ჰოფენჰაიმი | 2.05 | 3.6 | 3.4 |

**ლევერკუზენი-მაინცი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჯონათან ტა, ჰაკან ჩაჰანოღლუ

მაინცი: ***ტრავმ***-სუატ სერდარი, ქარიმ ონისივო

**დარმშტადი-აუგსბურგი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-სანდრო სირიგუ, დენის ოლეინიკი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ალფრედ ფინგობასონი, კაიბუ

**ფრაიბურგი-დორტმუნდი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-პასკალ შტენცელი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სებასტიან როდე, სვენ ბენდერი

**ლაიპციგი-კიოლნი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-იუსუფ პოულსენი, ლუკას კლოსტერმანი

კიოლნი: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, ლეონარდო ბიტენკურტი, არტიომს რუდნევსი, მატიას ლემანი, მარსელ რიისე, ტიმო ჰორნი

**ბაიერნი-ჰამბურგი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფრანკ რიბერი, ჟერომ ბოატენგი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ლუკა ვალდშმიდტი, აშტონ გიოტცე

**ჰერტა-აინტრახტი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ალანი, ჯულიან შიბერი, სინან კურტი, მიჩელ ვეიზერი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო ფაბიანი, გულერმო ვარელა

**ინგოლშტადი-გლადბახი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-შტეფან ლექსი, მორის ჰარტმანი

გლადბახი: ***ტრავმ***-ბა-მუაკა სიმაკალა, ნიკო შულცი, იბრაჰიმა ტრაორე

**შალკე-ჰოფენჰაიმი**

შალკე: ***ტრავმ***-დონის ავდიჯაჯი, ბაბა რაჰმანი, ფრანკო დი სანტო, ბრეელ ემბოლო

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფაბიან შარი, ჯერემი ტოლიანი, ლუკას რუპი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 15 | 5 | 1 | 46-13 | 50 |
| 2.ლაიპციგი | 21 | 14 | 3 | 4 | 38-21 | 45 |
| 3.დორტმუნდი | 21 | 10 | 7 | 4 | 43-23 | 37 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 21 | 9 | 10 | 2 | 38-21 | 37 |
| 5.აინტრახტი | 21 | 10 | 5 | 6 | 25-20 | 35 |
| 6.ჰერტა | 21 | 10 | 4 | 7 | 28-24 | 34 |
| 7.კიოლნი | 21 | 8 | 9 | 4 | 30-19 | 33 |
| 8.ლევერკუზენი | 21 | 9 | 3 | 9 | 34-30 | 30 |
| 9.ფრაიბურგი | 21 | 9 | 3 | 9 | 28-36 | 30 |
| 10.შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 25-22 | 26 |
| 11.გლადბახი | 21 | 7 | 5 | 9 | 23-29 | 26 |
| 12.მაინცი | 21 | 7 | 4 | 10 | 29-37 | 25 |
| 13.აუგსბურგი | 21 | 6 | 6 | 9 | 19-27 | 24 |
| 14.ვოლფსბურგი | 21 | 6 | 4 | 11 | 19-31 | 22 |
| 15.ჰამბურგი | 21 | 5 | 5 | 11 | 21-37 | 20 |
| 16.ვერდერი | 21 | 5 | 4 | 12 | 26-42 | 19 |
| 17.ინგოლშტადტი | 21 | 5 | 3 | 13 | 19-32 | 18 |
| 18.დარმშტადტი | 21 | 3 | 3 | 15 | 14-41 | 12 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | ნაპოლი-ატალანტა | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 25.02 | იუვენტუსი-ემპოლი | 1.14 | 7.5 | 19.0 |
| 26.02 | პალერმო-სამპდორია | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 26.02 | ლაციო-უდინეზე | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 26.02 | სასუოლო-მილანი | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 26.02 | კროტონე-კალიარი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 26.02 | კიევო-პესკარა | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 26.02 | ჯენოა-ბოლონია | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 26.02 | ინტერი-რომა | 2.5 | 3.6 | 2.62 |
| 26.02 | ფიორენტინა-ტორინო | 1.85 | 3.75 | 4.0 |

**ნაპოლი-ატალანტა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-აბდულაიე კონკო

**იუვენტუსი-ემპოლი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ანდრეა ბარძალი

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**პალერმო-სამპდორია**

პალერმო: ***ტრავმ***-ჯუზეპე პეზელა, სიმონე ლო ფასო, შტეფან სილვა, სლობოდან რაიკოვიჩი

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

**ლაციო-უდინეზე**

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი

უდინეზე: ***ტრავმ***-ასანე გნოკორი, დავიდე ფარაონი

**სასუოლო-მილანი**

სასუოლო: ***ტრავმ***-პოლ კიროლა, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

მილანი: ***ტრავმ***-ალესანდრო რომანიოლი, ლუკა ანტონელი, ჯაკომო ბონავენტურა, დავიდე კალაბრია, რიკარდო მონტოლივო

**კროტონე-კალიარი**

კროტონე: ***ტრავმ***-მარკუს როდენი

კალიარი: ***ტრავმ***-პაოლო ფარაგო, ფედერიკო მელხიორი

**კიევო-პესკარა**

კიევო: ***ტრავმ***-სერხიო პელისიერი

პესკარა: ***ტრავმ***-არავინ

**ჯენოა-ბოლონია**

ჯენოა: ***ტრავმ***-სანტიაგო ჯენტილეტი, მიგელ ველოსო, მატეო ბორინი

ბოლონია: ***ტრავმ***-მატის დესტრო, დომენიკო მატიელა, დანიელე კასტადელო, ორი ოკვონკვო

**ინტერი-რომა**

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი

რომა: ***ტრავმ***-ალესანდრო ფლორენცი

**ფიორენტინა-ტორინო**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

ტორინო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, ლუკა როზეტინი, მირკო ვალდიფიორი, ლეანდრო გასტანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 21 | 0 | 4 | 53-17 | 63 |
| 2.რომა | 25 | 18 | 2 | 5 | 54-22 | 56 |
| 3.ნაპოლი | 25 | 16 | 6 | 3 | 60-27 | 54 |
| 4.ინტერი | 25 | 15 | 3 | 7 | 40-24 | 48 |
| 5.ატალანტა | 25 | 15 | 3 | 7 | 40-26 | 48 |
| 6.ლაციო | 25 | 14 | 5 | 6 | 44-29 | 47 |
| 7.მილანი | 25 | 13 | 5 | 7 | 36-29 | 44 |
| 8.ფიორენტინა | 25 | 11 | 7 | 7 | 42-35 | 40 |
| 9.ტორინო | 25 | 9 | 8 | 8 | 46-40 | 35 |
| 10.სამპდორია | 25 | 9 | 7 | 9 | 30-31 | 34 |
| 11.კიევო | 25 | 9 | 5 | 11 | 26-34 | 32 |
| 12.სასუოლო | 25 | 9 | 3 | 13 | 35-41 | 30 |
| 13.უდინეზე | 25 | 8 | 5 | 12 | 28-34 | 29 |
| 14.კალიარი | 25 | 8 | 4 | 13 | 33-51 | 28 |
| 15.ბოლონია | 25 | 7 | 6 | 12 | 23-38 | 27 |
| 16.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 27-40 | 25 |
| 17.ემპოლი | 25 | 5 | 7 | 13 | 15-35 | 22 |
| 18.პალერმო | 25 | 3 | 5 | 17 | 21-49 | 14 |
| 19.კროტონე | 25 | 3 | 4 | 18 | 20-43 | 13 |
| 20.პესკარა | 25 | 2 | 6 | 17 | 27-55 | 12 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.02 | გენგამი-მონაკო | 4.5 | 3.75 | 1.73 |
| 25.02 | ლილი-ბორდო | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 25.02 | ნანსი-ტულუზა | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 25.02 | რენი-ლორიანი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 25.02 | ანჟე-ბასტია | 1.85 | 3.2 | 4.8 |
| 26.02 | სტ.ეტიენი-კაენი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 26.02 | ლიონი-მეცი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 26.02 | მარსელი-პსჟ | 4.8 | 3.8 | 1.7 |

**გენგამი-მონაკო**

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

მონაკო: ***ტრავმ***-ბოშილია, გუიდო კარილო

**ლილი-ბორდო**

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

ბორდო: ***ტრავმ***-ტომას ტურე

**ნანსი-ტულუზა**

ნანსი: ***ტრავმ***-ვინსენტ მურატორი

ტულუზა: ***ტრავმ***-დუშან ვეშკოვაჩი, კლემენტ მიჩელინი

**რენი-ლორიანი**

რენი: ***ტრავმ***-ედსონ მექსე, იოან გურკუფი

ლორიანი: ***ტრავმ***-არავინ

**ანჟე-ბასტია**

ანჟე: ***ტრავმ***-იოან ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე

ბასტია: ***ტრავმ***-ენცო გრიველი, სებასტიან სკოლაჩი

**სტ.ეტიენი-კაენი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ალექსანდერ სოდერლუნდი, ოსამა ტანანე, რობერტ ბერიჩი

კაენი: ***ტრავმ***-მუჰამადუ დაბო

**ლიონი-მეცი**

ლიონი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, მუხტარ დიახაბი

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

**მარსელი-პსჟ**

მარსელი: ***ტრავმ***-ბაფეტიმბი გომისი, პატრის ევრა, ტომას ჰუბოჩანი, აბუ დიაბი

პსჟ: ***ტრავმ***-გრჟეგოჟ კრიხოვიაკი, ხავიერ პასტორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 26 | 18 | 5 | 3 | 76-24 | 59 |
| 2.პსჟ | 26 | 17 | 5 | 4 | 50-18 | 56 |
| 3.ნიცა | 26 | 16 | 8 | 2 | 42-20 | 56 |
| 4.ლიონი | 25 | 14 | 1 | 10 | 49-31 | 43 |
| 5.სტ.ეტიენი | 26 | 10 | 9 | 7 | 31-21 | 39 |
| 6.მარსელი | 26 | 11 | 6 | 9 | 35-31 | 39 |
| 7.ბორდო | 26 | 10 | 9 | 7 | 32-31 | 39 |
| 8.ტულუზა | 26 | 9 | 7 | 10 | 31-28 | 34 |
| 9.გენგამი | 26 | 9 | 7 | 10 | 30-33 | 34 |
| 10.რენი | 26 | 8 | 9 | 9 | 25-31 | 33 |
| 11.მონპელიე | 26 | 8 | 8 | 10 | 38-43 | 32 |
| 12.ანჟე | 26 | 8 | 6 | 12 | 22-33 | 30 |
| 13.ნანტი | 25 | 8 | 6 | 11 | 19-34 | 30 |
| 14.ლილი | 26 | 8 | 5 | 13 | 24-32 | 29 |
| 15.კაენი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-43 | 28 |
| 16.მეცი | 25 | 8 | 6 | 11 | 25-45 | 28 |
| 17.დიჟონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36-41 | 27 |
| 18.ნანსი | 26 | 7 | 6 | 13 | 18-34 | 27 |
| 19.ბასტია | 25 | 5 | 8 | 12 | 22-33 | 23 |
| 20.ლორიანი | 26 | 6 | 4 | 16 | 27-52 | 22 |

# სეზონი სუპერთასით იწყება



2017 წლის 26 თებერვალს მარტვილში, მურთაზ ხურცილავას სახელობის სტადიონზე, ქვეყნის ჩემპიონ სამტრედიასა და თასის მფლობელ ქუთაისის ტორპედოს შორის საქართველოს სუპერთასის მე-16 გათამაშება გაიმართება.

სუპერთასის ძირითად დროში ფრედ დასრულების შემთხვევაში გამარჯვებულს 11-მეტრიანების სერია გამოავლენს, ანუ დამატებითი დრო არ დაინიშნება.

**გაგაცნობთ აქამდე ჩატარებულ სუპერთასის შეხვედრათა შედეგებს:**

**1996: დინამო (თბ)– დინამო (ბთ) 4:0**
**1997: დინამო (თბ)– დინამო (ბთ) 4:1**
**1998: დინამო (თბ)– დინამო (ბთ) 1:2**
**1999: დინამო (თბ)– ტორპედო 1:0**
**2005: დინამო (თბ)-ლოკომოტივი 1:0**
**2006: სიონი-ამერი 0:1**
**2007: ოლიმპი-ამერი 1:4**
**2008: დინამო (თბ)-ზესტაფონი 1:0**
**2009: ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) 2:1 (დდ)**
**2010: ოლიმპი-ვიტ ჯორჯია 2:0**
**2011: ზესტაფონი-გაგრა 3:1**
**2012: ზესტაფონი-დილა 0:0 (4:2პ)**
**2013: დინამო (თბ)-ჩიხურა 0:1**
**2014: დინამო (თბ)-ჩიხურა 1:0**
**2015: დილა-დინამო (თბ) 0:1**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 27 თებერვალი

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00, 02.30 "X სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 03.30 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 მხ/ფ "მოთამაშე ქალი" (კ.კლაინი) 00.40 მხ/ფ "სამოთხეში დაბრუნება"(ვ.ვონი)

08.00 დ/ფ "შუა საუკუნეების მანერები" 09.00 დ/ფ "ჩირლიდერები" 10.00 დ/ფ "ინკების მარილი" 18.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 12.00 ტ/სერ. "ევას სამი ვარდი" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "ბიჭი კალიფორნიიდან" (მ.შინი)

